ევროპული სკოლა

9789941067365

თბილისი
2014

რ. ბერიძე ა. ხვედელიძე ა. სახაროვა

სახალისო აქტივობები

რუსუდან ბერიძე
ანა ხვედელიძე
ანა სახაროვა

სახალისო აქტივობები

ევროპული სკოლა

2014

ავტორები:

რუსუდან ბერიძე
ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი.

ანა ხვედელიძე
ევროპული სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი.

ანა სახაროვა
საერთაშორისო ბაკალავრიატის საბაზისო პროგრამის ხელმძღვანელი.

რედაქტორი:

ია ღადუა
ფილოლოგიის დოქტორი, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის უნიკალურ წიგნთა კოლექციის კურატორი.

სტილისტური რედაქტორი:

მზია ჭყონია
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი მენტორი

ყდის ფოტო, დიზაინი
ირინა აბჟანდაძე

ISBN 9789941067365

რეცენზია

ავტორების მიერ შედგენილი სასწავლო მასალა "სახალისო აქტივობები" ენის შემსწავლელთათვის დამხმარე მასალას წარმოადგენს და მოცემული ყველა მნიშვნელოვანი ყოფითი სასაუბრო თემებისა და მრავალფეროვანი აქტივობების ხარჯზე საკმაოდ დიდ დახმარებას გაუწევს როგორც მასწავლებლებს, ასევე ენის შემსწავლელებს.

წარმოდგენილი მასალა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით არის შედგენილი, საკმაოდ საინტერესოდ და ნათლად არის სტრუქტურირებული და შეიცავს სახალისო ელემენტებს. წიგნში სხვადასხვა სახის სტრუქტურული ელემენტი გასაგები ფორმით არის გამოყოფილი და სავარჯიშოები და დავალებები მოსწავლეებში სხვადასხვა სააზროვნო უნარის განვითარებას ემსახურება.

განსაკუთრებით საინტერესოა ავტორის მიერ წიგნში შეტანილი ისეთი სამუშაო ფორმები, როგორიცაა პროექტი და როლური თამაშები, რომელთა გამოყენების გარეშეც დღეს სასწავლო პროცესი წარმოუდგენელია.

წიგნზე მუშაობა განუვითარებს მოსწავლეებს შემოქმედებითი აზროვნების უნარებს და მათ მეტად ავტონომიურებს გახდის, რაც უპირველეს ყოვლისა, მოსწვლეების მიერ საკუთარი სასწავლო პროცესის მართვას და პრობლემების იოლად გადაჭრას ემსახურება.
წიგნი უდავოდ შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესის ეფექტიან მართვას და დაეხმარება პედაგოგებს მეთოდურად მრავალფეროვანი და სახალისო გაკვეთილების ორგანიზებასა და მათ საინტერესოდ ჩატარებაში.

პროფ. დოქტ. ეკატერინე შავერდაშვილი
ცენტრის დირექტორი

შესავალი

წიგნში **"სახალისო აქტივობები"** მოცემული აქტივობების უმრავლესობა მობილური და მოქნილია. სწორედ ეს მოქნილობა აძლევს მასწავლებელს საშუალებას თავი იგრძნოს კომფორტულად, მაშინაც კი როდესაც გაკვეთილისთვის დაგეგმილი მასალა არასაკმარისია ან კიდევ გაკვეთილი მოითხოვს სპონტანურად გეზის შეცვლას.

წიგნი მოიცავს თითქმის ყველა მნიშვნელოვან სასაუბრო **თემას** (საცხოვრებელი ადგილი, ცხოველები, მოდა, გარემო და ეკოლოგია, განათლება, დანაშაული და სასჯელი და ა.შ.), რომელთა მიმართებაში წარმოდგენილი აქტივობები დაეხმარება ნებისმიერი ენის (ქართული, რუსული, ფრანგული, გერმანული და ა.შ.) პედაგოგებს, მეთოდურად მრავალფეროვანი და სახალისო გახადოს საგაკვეთილო პროცესი დაწყებითი საფეხურიდან მაღალ საფეხურამდე.

თითოეული თემა შედგება ქვეთავებისგან და მთავრდება **პროექტით, რომელზე** მუშაობაც სრულიად ახალ ამოცანებს უსახავს როგორც მასწავლებელს, ასევე მოსწავლეებს და არსებითად განსხვავებულია ტრადიციული გაკვეთილისგან. პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საინფორმაციო სივრცეში ორიენტაციისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევები, ასევე ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები. პროექტზე მუშაობისას მოსწავლე ორიენტირებულია საკუთარ თავზე და პასუხისმგებლობას ინაწილებს ჯგუფის წევრებთან, უვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარები.

პროექტი ჯგუფურ მუშაობას გულისხმობს, მოსწავლე ეჩვევა კრიტიკულ აზროვნებას და დამოუკიდებლად, არგუმენტირებულად დასკვნების გაკეთებას. რაც მნიშვნელოვანია მომავალი ცხოვრებისთვის.

წიგნში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს ასევე **როლურ თამაშს,** რომელიც თანამშრომლობითი სწავლების საუკეთესო მეთოდია და ეს მეთოდი სასწავლო პროცესს განსაკუთრებულად სახალისოს ხდის.

როლური თამაში გულისხმობს ხელოვნური სიტუაციების შექმნას, რომელიც რეალობის მსგავსია. როლური თამაშის დროს მოსწავლეები როგორც გონებრივად, ასევე ფიზიკურადაც აქტიურები არიან და მათ საშუალება ეძლევათ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება, ემოციები (ნეგატიური ან პოზიტიური), რაც აადვილებს სწავლის პროცესს და მასალის ათვისებას.

წიგნში მოცემული აქტივობებით მოსწავლეები ერთი და იმავე პრობლემას რამდენიმე განსხვავებული კუთხით შეხედავენ და გაიაზრებენ, რაც მათი თვალსაწიერის განვითარების საუკეთესო საშუალებაა. ხშირ შემთხვევაში მიცემული როლი მეტად განსხვავდება პიროვნების ხასიათისაგან, ან პირიქით ძალიან ჰგავს მას. როლური თამაშის დროს მოსწავლებს უვითარდებათ შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, ტოლერანტობისა და ემფატიის გრძნობა, კომუნიკაციური უნარი.

წიგნში მოცემული თემატიკა შერჩეულია აქტუალურობის და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

წიგნი გთავაზობთ როგორც წერით, ასევე ზეპირ აქტივობებს.

სასაუბრო აქტივობები

საცხოვრებელი ადგილი

ჩემი სახლი

- *ისაუბრეთ წყვილებში თქვენს საცხოვრებელ ადგილზე. დაუსვით ერთმანეთს შემდეგი სახის კითხვები, როგორიცაა:* ***ბინაში ცხოვრობთ თუ კერძო სახლში? ქირით ცხოვრობთ? ქალაქის ცენტრში ცხოვრობთ თუ გარეუბანში?***
- *აღწერეთ თქვენი უბანი –* ***გამწვანებულია? არის თუ არა საბავშვო მოედნები...***
- *აღწერეთ თქვენი საყვარელი ან საოცნებო ოთახი.*

თქვენს მეწყვილეს უამბეთ იმ საინტერესო ადგილზე, სადაც გიცხოვრიათ.

მაგ. მე ვიცხოვრებდი/ვცხოვრობდი ნავში, კარავში, გამოქვაბულში, ხეზე... მაგ. სასახლე - დიდებული, ბრწყინვალე, საოცნებო, ულამაზესი...)

- ჩამოთვალეთ რამდენიმე ორიგინალური საცხოვრებელი ადგილი და შეარჩიეთ ზედსართავი სახელები ამ ადგილების აღსაწერად (შეგიძლიათ აარჩიოთ სიტყვები მოცემული ბანკიდან: მიმზიდველი, უცნაური, ცათამბჯენი, ნათელი, მომხიბვლელი, კომფორტული, დაუვიწყარი, სახიფათო...)

მაგ. სასახლე - დიდებული, ბრწყინვალე, საოცნებო, ულამაზესი...

მცირე ზომის ჯგუფებში იმსჯელეთ, თუ რა დადებითი და უარყოფითი თვისებები გააჩნია ქვემოთ ჩამოთვლილ საცხოვრებელ ადგილებს..

სასტუმრო	*სახლი ხეში*
სარდაფი	*ბინა სხვენში/სახურავზე*
ქარავანი	*ბინა მაღალ სართულზე*
გამოქვაბული (წარიყალასთან ახლოს)	*სახლი ძველ თბილისში*

- ***მაგ. ბინა სხვენში***

დადებითი	*უარყოფითი*
სუფთა ჰაერი	*ნაკლები კომუნიკაცია*
ხედი	*მარტოობა*
რომანტიკული	*ნაკლები კომფორტი*

- **დამატებითი აქტივობა: მოცემული სურათებიდან რომელ სახლში იცხოვრებდი და რატომ?**

მდგმურები

- წყვილებში იმუშავეთ და წარმოიდგინეთ, რომ ეძებთ პიროვნებას, ვისთან ერთადაც იქირავებთ ბინას. დაწერეთ საგაზეთო განცხადება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ბინის, ოთახისა და საკონტაქტო ნომერის შესახებ. დარწმუნდით, რომ ორივეს გაქვთ განცხადების ასლები.
- შეცვალეთ მეწყვილეები სხვა წყვილებით და გაითამაშეთ სატელეფონო საუბარი.
- **სტუდენტი A** ათავსებს განცხადებას ადგილობრივ გაზეთში. ფულის დაზოგვის მიზნით შემოკლებულ ვარიანტს წერს. **მაგ. გასაქირავებელი ოთახი. დარეკეთ 832394494**
- **სტუდენტი B** ეძებს ბინას და ეკითხება თავის მეწყვილე სტუდენტს – ოთახის, ბინისა და სხვა საცხოვრებელი პირობების შესახებ, როგორიცაა გადასახადი და სხვადასხვა ვალდებულება.
- შეცვალეთ წყვილები და კვლავ გაითამაშეთ საუბარი-დიალოგი. რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას მდგმურებს შორის? ჩამოთვალეთ იდეები მთელ კლასთან ერთად ამ საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითისთვის გთავაზობთ შემდეგს:

ოჯახის საქმე, მუსიკა, მეგობრები;
გადასახადები, სააბაზანო, საკვები;
ტელევიზორი, ტელეფონი, ცხოვრების სტილი...

არგუმენტირებული დიალოგი. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ უკვე ექვსი თვეა ცხოვრობთ მდგმურთან ერთად და მოგბეზრდათ მასთან ერთ ჭერქვეშ თანაცხოვრება. მეწყვილესთან გაითამაშეთ არგუმენტირებული დიალოგი. შეეცადეთ დაასახელოთ/ჩამოთვალოთ მთავარი არგუმენტი.

იდეალური სახლი

- მცირე ზომის ჯგუფებში დახაზეთ სქემა, ნახატი ან შეადგინეთ პროექტი თქვენს საოცნებო სახლზე ბაღით, რომელიც აგრეთვე მოიცავს ინფორ-მაციას ოთახებზე, დეკორაციაზე, ავეჯზე, ტექნიკაზე, ადგილ-მდებარეობაზე და სხვა.
- მოამზადეთ ორიგინალური პრეზენტაცია კლასისთვის. თუკი რომელიმე სტუდენტი დაჯილდოვებულია მხატვრობის ნიჭით, მიეცით ილუსტრაციის გაკეთების შესაძლებლობა.
- კლასმა ხმათა უმრავლესობით აირჩიოს საუკეთესო სახლის პროექტი.

პროექტები

- ეწვიეთ სახელგანთქმული და ცნობილი ადამიანების სახლების ვებ-გვერდს და გააკეთეთ ჩანაწერები მომდევნო გაკვეთილისთვის. მოამზადეთ შთამბეჭდავი პრეზენტაცია.
- ინტერნეტში მოიძიეთ ინფორმაცია გასაყიდ სახლზე და წარმოადგინეთ კლასში.
- წყვილებში გაითამაშეთ დიალოგი უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვების მენეჯერს/აგენტსა და მომავალ მყიდველს/ მფლობელს შორის.

შენიშვნა: სასურველია, მასწავლებელმა კლასს შესთავაზოს შესაბამისი ლექსიკა.

მაგ: სესხი; ვალი; კრედიტი; მოგება; საბანკო ანგარიში; სესხის გადავადება და ა.შ.

- **დამატებითი აქტივობა: მოცემული სახლებიდან აირჩიეთ რომელიმე და გაუკეთეთ რეკლამ**

ცხოველები

საუბარი ცხოველებზე

ჯგუფებში იმსჯელეთ შემდეგ შეკითხვებზე.

- რომელია თქვენი საყვარელი ცხოველი? რატომ?
- ძაღლებს ანიჭებთ უპირატესობას თუ კატებს? რატომ?
- დაასახელეთ ხორცისმჭამელი ცხოველი?
- დაასახელეთ საქართველოს ბინადარი ცხოველები?
- რომელი ცხოველის ხორცს მიირთმევთ?
- გყოლიათ თუ არა ოდესმე შინაური ცხოველი? რომელი?
- როგორ უვლიდით მას?
- გვიამბეთ როგორ ეპყრობიან ცხოველებს თქვენს ქვეყანაში?
- როგორ დავიცვათ/გადავარჩინოთ უპატრონო ძაღლები?

- **დამატებითი აქტივობა:** მოცემული 5 სურათი დანომრეთ თქვენი შეხედულების მიხედვით (1 - ყველაზე მეტად მომწონს, 5 – ყველაზე ნაკლებად მიზიდავს); არგუმენტირებულად დაამტკიცეთ თქვენი მოსაზრება

„ყველაზე, ყველაზე...” ცხოველი

- წყვილებში შეთანხმდით ერთ რომელიმე ცხოველზე, რომელსაც მიესადაგება ქვემოთ ჩამოთვლილი აღწერილობა.

ყველაზე დიდი, ყველაზე ლამაზი;
ყველაზე საშიში, ყველაზე უჩვეულო;
ყველაზე ნელი/სწრაფი, ყველაზე პატარა;
ყველაზე მეგობრული, ყველაზე საშიში;
ყველაზე საზრიანი...

- შეადარეთ თქვენი მოსაზრებები სხვა წყვილების შეხედულებებთან.
- წინადადებებში გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული გამონათქვამები ცხოველებზე.

- ძაღლივით ერთგული
- კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო
- მელასავით გაიძვერა
- ზუსავით ბრძენი
- ლომივით ძლიერი

მაგ. სკოლიდან მგელივით მშიერი მოვედი სახლში, დედა გემრიელი კერძით გამიმასპინძლდა და ქორივით დავაცხერი.

მოთხრობები ცხოველებზე

- *გაიხსენეთ მოთხრობა/ზღაპარი ცხოველებზე,*
- ***აქტივობა 1.*** *გააგრძელე მოთხრობა მაგ: იყო ერთი ძაღლი სახელად...*
- ***აქტივობა 2.*** *შეადგინეთ მოთხრობა სათაურით*

ა) სპილო და ჭიანჭელა;

ბ) პეპელა და ბეჰემოტი;

გ) მოხუცი თაგუნიას საგმირო თავგადასავლები ...

დებატი: *კლასი გაყავით ორ ჯგუფად. მიეცით თემა:* ***„ცხოველების გაჩერება ზოოპარკში დანაშაულია"*** *ჯგუფი შეეცდება არგუმენტირებულად დაიცვას ეს მოსაზრება.*

ჯგუფი ცდილობს დაამტკიცოს საპირისპირო აზრი.

შენიშვნა: თითოეული ჯგუფს აქვს ლიმიტირებული დრო (2-3 წუთი)

სადებატო თემები:

ცხოველის სახლში ყოლა დანაშაულია
ცხოველებით ვაჭრობა მიუღებელია
ნადირობა სპორტი არ არის

წერით დავალება:

- მოსწავლეები ჯგუფებში ირჩევენ ერთ თემას, მსჯელობენ და შემდეგ გაერთიანებული ძალებით წერენ თხზულებას (რომელიმე ერთი სტუდენტი მწერლის როლს ასრულებს.)

სავარაუდო თემები:

დიალოგი ფერმაში ცხვარსა და გოჭს შორის

თქვენს სამზარეულოში მცხოვრები თაგვის ყოველდღიური ჩანაწერი-ჩანახატი

დანაშაული და სასჯელი

დანაშაულის მსხვერპლი

- **კითხვები საუბრისათვის:** ყოფილხართ თუ არა ოდესმე თქვენ ან თქვენი ახლობელი დანაშაულის მსხვერპლი? უამბეთ თქვენს მეწყვილეს ამის შესახებ _ რა მოხდა?

დასჯა/სასჯელი

- წყვილებში იმსჯელეთ და გადაწყვიტეთ შესაფერისი სასჯელი შემდეგი დანაშაულისთვის:

დანაშაული	**სასჯელი**
ვანდალიზმი	ჯარიმა
მაღაზიის ძარცვა	მართვის მოწმობის ჩამორთმევა
მკვლელობა	სიტყვიერი შენიშვნა
მანქანის მართვა ნასვამ/არაფხიზელ მდგომარეობაში	თავისუფლების აღკვეთა
ადამიანის დაცინვა-დამცირება	დაპატიმრება
	შინაპატიმრობა

შეადარეთ თქვენი პასუხი სხვა წყვილებთან.

როლური თამაში - უბნის კრება

- კლასს აძლევთ დავალებას: უბანში, რომელშიც ცხოვრობთ, იმატა დანაშაულის ფაქტებმა, განსაკუთრებით ძალადობრივმა დანაშაულმა და მანქანების გატაცების ფაქტებმა. თქვენ აპირებთ კრებაზე დასწრებას, სადაც კონკრეტული გადაწყვეტილებები უნდა მიიღოთ დანაშაულებრივი ფაქტების აღმოსაფხვრელად.
- წყვილებში მოემზადეთ კრებისთვის. იმსჯელეთ თქვენი იდეების გარშემო და გააკეთეთ ჩანაწერები. გაინაწილეთ როლები.
- **წყვილი ა** **ადგილობრივი პარლამენტის წევრი** _ თქვენ წარმოადგენთ სახელმწიფოს/მთავრობის ახალ პოლიტიკას "გატარდეს მკაცრი ზომები დანაშაულის მიმართ";

- **წყვილი ბ** **ადგილობრივი პოლიციის შეფი** თქვენ გჯერათ დამნაშავეების მიმართ ნულოვანი შეუწყნარებლობის;
- **წყილი გ** **მუშათა არასამთავრებო ახალგაზრდული გაერთიანების წევრი** _ თქვენ გჭირდებათ მეტი ფული საზოგადოებრივი პროექტებისთვის. თქვენ უპირატესობას ანიჭებთ პრევენციული ზომების გატარებას და არა დამნაშავის დასჯას;

- **წყვილი დ** **ექს-კრიმინალი,** რომელიც ცდილობს კრიმინალების გამოსწორებას, სწორ გზაზე დაყენებას;
- **წყვილი ე** **მობინადრეთა ასოციაციის თავმჯდომარე,** რომელიც იბრძვის მობინადრეებისთვის უკეთესი გარემოს შესაქმნელად;
- **წყვილი ვ** **ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტი** – გინდათ მოიპოვოთ სენსაციური ინფორმაცია;
- გაითამაშეთ კრება (ზედმეტი სტუდენტები შეიძლება გაერთიანდნენ ჯგუფებში, როგორც რეპორტიორები, ჟურნალისტები, ან ადგილობრივი მცხოვრებნი, ან კრების ორგანიზატორი).

დიდი ცუდი მგელი? –

წითელქუდას თანამედროვე ვერსია

- მასწავლებელი კლასში სვამს კითხვას: ბავშვებო, ხომ გახსოვთ ზღაპარი წითელქუდაზე? დაასახელეთ ზღაპრის პერსონაჟები. მასწავლებელი დაფაზე წერს რამდენიმე ზედსართავ სახელს. სიტყვების ბანკი: დიდი, საშიში, ლამაზი, მხიარული, რუხი, წითელი, მოხუცი, მამაცი, დაუნდობელი...

წითელქუდა	**მგელი**	**ბებია**	**მონადირე**
მხიარული	რუხი	მოხუცი	მამაცი

როლური თამაში - სასამართლო

(გაინაწილეთ როლები)

- **ბრალმდებელი:** მგელი იპოვეს სამი ტყვიით მოკლული. გაატყავეს და გადაისროლეს მდინარეში. წითელქუდა, რომელიც დააპატიმრეს, ემოსა მგლის ტყავის ქურქი და ჰქონდა თოფი. ბებია გაუჩინარდა. აქედან გამომდინარე, წითელქუდა დამნაშავეა და იმსახურებს სასჯელს;
- **დამცველი:** არსებობს სამხილი, რომელიც მგლის უდანაშაულობას ამტკიცებს და ვრწმუნდებით, რომ ის მსხვერპლია. გარდა ამისა, არსებობს კიდევ რამდენიმე სამხილი, რომლის დასაბუთებასაც შევეცდებით დაპირისპირების დროს;
- **წითელქუდა:** წითელქუდამ უნდა უარყოს მის მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება და წარმოადგინოს ალიბი. მან განმარტებითი ჩვენება უნდა მისცეს იარაღისა და ქურქის ტარების თაობაზე. მზად არის ყველა კითხვაზე გასცეს პასუხი;
- **მოსამართლე:** უსვამს კითხვებს წითელქუდას და ცდილობს აღიარებით ჩვენება ჩამოართვას;
- **მოწმე**: გაიგონა თოფის ხმა და შენიშნა გაქცეული მონადირე.
- **მონადირე:** პასუხობს ყველა დასმულ შეკითხვას და ცდილობს თავის გამართლებას.

- მოსამართლეს გამოაქვს ვერდიქტი. თუ მსაჯულები გადაწყვეტენ წითელქუდას დასჯას, წითელქუდას ეძლევა საბოლოო სიტყვის თქმის უფლება განაჩენის გამოტანამდე.

ორგანიზებული დანაშაული

კითხვები საუბრისათვის

არსებობს თუ არა თქვენს ქვეყანაში დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი?
რა ეწოდება ამ ორგანიზაციას და რა სახის დანაშაულს ჩადიან მისი წევრები?
ახდენს თუ არა ეს ორგანიზაცია რაიმე ზეწოლას მთავრობაზე?
რატომ არის ზოგ ქვეყანაში ორგანიზებული დანაშაული/მაფია ასეთი ძლიერი და ზოგ ქვეყანაში კი არა?

სადებატო საკითხი: *ჩამოაყალიბეთ მიზეზები, მოიძიეთ არგუმენტები, მაგალითები და იმსჯელეთ მათ გარშემო.*

როლური თამაში: ორგანიზებული დანაშაული

კლასი გაყავით ორ ჯგუფად.

- **ჯგუფი A თქვენ ხართ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის ლიდერი.** ჩამოთვალეთ სათანადო მაგალითები ფილმებიდან, რომლებიც არგუმენტირებულად გაამყარებენ თქვენს მოსაზრებებს ძალაუფლების გაძლიერების მიზნით.

- **ჯგუფი B თქვენ ხართ ყველაზე გავლენიანი და ძლიერი ქვეყნის პოლიციის შეფი.** ჩამოთვალეთ ქმედებები ორგანიზებული დანაშაულის შესამცირებლად. შეადარეთ იდეები და გაუზიარეთ ერთმანეთს.

პროექტი

- მოიძიეთ მასალა ცნობილ მაფიოზურ კლანებზე.

  მაგ. ალ კაპონეს პერიოდი და მშრალი კანონი ამერიკაში;
  ფედერალურ ბიუროსა და ალკატრასის ციხეზე;

- ეწვიეთ ვებგვერდს, შეარჩიეთ საინტერესო საპრეზენტაციო მასალა (შეასრულეთ power point-ში, შეგიძლიათ მუსიკალურადაც გააფორმოთ) და მოემზადეთ კლასისთვის წარსადგენად.

კულტურა

კულტურული ანბანი



- ჩამოვწეროთ ანბანი. კლასი გავყოთ ორ ჯგუფად: თითოეულს მივცეთ რომელიმე ქვეყანა;
- ჯგუფმა უნდა მოიფიქროს ანბანის მიხედვით თითოეულ ასოზე ამ ქვეყნისთვის დამახასიათებელი სიტყვა, ფრაზა, ანდაზა, ან კულტურული მოვლენა, ფენომენი და ა.შ.
- გაიმარჯვებს ის ჯგუფი, რომელსაც უფრო ბევრი ინფორმაცია ექნება მოძიებული.

კულტურული აჟიოტაჟი

- კლასი გაყავით ორ ჯგუფად. **თემა: „რა თვისებები ახასიათებს მულტი-კულ-ტურულ ქალაქებში ცხოვრებას.”** გამო-ვიყენოთ გონებრივი იერიშის მეთო-დი;
- **ჯგუფი ა** ჩამოთვალეთ/ჩამოწერეთ იდეები მულტი-კულტურულ ქალა-ქებში ცხოვრების სასარგებლოდ;
- **ჯგუფი ბ** ცდილობს დაამტკიცოს საპირისპირო აზრი და მოიყვანოს რამდენიმე უარყოფითი მაგალითი თავისი მოსაზრების გასამ-ყარებლად/დასაცავად.

შენიშვნა: თითოეულ ჯგუფს აქვს განსაზღვრული დრო (8-10 წუთი).

- **სასაუბრო აქტივობა**. გაიაზრეთ გამონათქვამი “სადაც მიხვალ, იქაური ქუდი დაიხურე.” (”When in Rome do as the Romans do”) აღნიშნულ წრფეზე ინდივიდუალურად მონიშნეთ თქვენი მოსაზრება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ეთანხმებით.

არ ვეთანხმები *სავსებით ვეთანხმები*

კლასი დავყოთ ორ ჯგუფად. **ჯგუფი ა,** რომელიც მოსაზრებას ემხრობა და **ჯგუფი ბ,** რომელიც მოსაზრებას ეწინააღმდეგება. 5 წუთის განმავლობაში იმსჯელეთ ჯგუფებში და აირჩიეთ სპიკერი, რომელიც არგუმენტირებულად წარმოადგენს ჯგუფის მოსაზრებას.

შენიშვნა: (ეს აქტივობა შესაძლებელია გამოვიყენოთ მოსწავლეებთან ინდი-ვიდუალური მიდგომის დროს. **მაგ.** დაფასთან გამოგვყავს ორი მოსწავლე და თითოეული მათგანი ცდილობს არგუმენტირებულად თავისი პოზიციის დაფიქსირებას და დაცვას 2 წუთის განმსავლობაში). მოიყვანეთ სათანადო არგუმენტები თქვენი აზრის შეხედულების გასამყარებლად.

კულტურათა შორის განსხვავებები

- ჯგუფებში იმსჯელეთ კულტურათა შორის არსებულ განსხვავებებზე. გამოიყენეთ ქვემოთ ჩამოთვლილი სასაუბრო თემები

ფესტივალები	საკვები
ხელოვნება	ოჯახი
ქორწილი	ნიშნობა
ჩაცმულობა	მუსიკა
ცნობილი ადამიანები	ჟესტები

ჩვეები და ტრადიციები

- **სასაუბრო აქტივობა**. მცირე ზომის ჯგუფებში იმსჯელეთ, თუ რა იცით ამ ფესტივალებზე. გამოიყენეთ ვენის დიაგრამა. გადაკვეთილ სივრცეში ჩაწერეთ კულტურული ცხოვრების მსგავსება. ხოლო მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროებში ჩაწერეთ მოცემული ქვეყნის კულტურული მახასიათებლები.

კარნავალი	ჩინური ახალი წელი
აღდგომა	შობა
დივალის ფესტივალი	მადლიერების დღე
ბლინების კვირა	ყველიერი

მე კარგად ვიცნობ ჩემ სამშობლოს!

- მცირე ზომის ჯგუფებში დაუსვით ერთმანეთს კითხვები თქვენი ქვეყნის ჩვევებსა და ტრადიციებზე (დაადგინეთ, თუ რამდენად კარგად იცით საკუთარი ქვეყნის ჩვევები და ტრადიციები). გამოიყენეთ ცხრილში მოცემული შეკითხვები.

აღწერეთ თქვენი ქვეყნის ტრადიციული ტანსაცმელი;

რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ქართულ ჩოხას?

რა ფერებია თქვენი ქვეყნის (საქართველოს) დროშაზე?

- **დამატებით აქტივობა.** შეგიძლიათ თავად მოიფიქროთ მსგავსი სახის შეკითხვები. სავარაუდო კითხვები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ თემებს: **კერძები, სპორტი, ტანსაცმელი, სასმელი, დღესასწაულები და ა.შ.**
- მოიძიეთ მეწყვილე მეორე ჯგუფიდან და დაადგინეთ, თქვენს ჯგუფთან შედარებით რამდენად მეტ ინფორმაციას ფლობს მისი ჯგუფი (რა იციან მათ თქვენზე მეტი).

შენიშვნა: შეგიძლიათ წარმოადგინოთ პროექტი ზემოთ მოცემული სათაურით.

თამაში – „გამოიცანი“

- სტუდენტები მუშაობენ მცირე ზომის ჯგუფებში ან ინდივიდუალურად. ცალკე ფურცელზე წერენ რომელიმე ქვეყნისთვის დამახასიაებელ ნიშან-თვისებას (სასურველია არსებობდეს 10-ზე მეტი ჩანაწერი-ბარათი)
- აღნიშნულ ბარათებს სხვა ჯგუფის წევრები იღებენ ლატარიის პრინციპით.
- წაკითხული ინფორმაციის მიხედვით სხვა ჯგუფის წევრებმა უნდა შეძლონ ქვეყნის დასახელება.

თავისუფალი დრო და კულტურული ღონისძიებები

- **სასაუბრო აქტივობა**. მასწავლებელი კლასში სვამს შეკითხვას: რომელ კულტურულ ღონისძიებებში მიგიღიათ ან იღებთ მონაწილეობას?
- ჩაატარე მინი კვლევა, იმოძრავეთ კლასში და თანაკლასელებს დაუსვით შემდეგი შეკითხვები. გააკეთე ჩანაწერები.

- **რას საქმიანობთ თავისუფალ დროს?**
- **რას აკეთებთ და რომელ ადგილებს სტუმრობთ თავისუფალ დროს?**
- **არსებოს თუ არა გადამწყვეტი ფაქტორები, რომლებიც შეცვლიან თქვენ მიერ დაგეგმილ თავისუფალ დროს?**

- აქტივობების სავარაუდო სია:
  ამინდი, მეგობრის ან ოჯახის წევრის ავადმყოფობა, განწყობა (უხასიათობა), დეპრესია...

- ჩაინიშნეთ იმ სტუდენტების სახელები, რომლებიც თქვენს აზრს იზიარებენ. არის თუ არა კლასში ისეთი წყვილი, რომლის აზრები და გემოვნება ემთხვევა სამივე ასპექტში?
- **კვლევის შედეგები მოახსენე კლასს. მაგ. მე გამოვიკითხე 5-6 კლასელი, ამათგან ოთხი მოსწავლე თავისუფალ დროს სპორტითაა დაკავებული.**

შენიშვნა: შეგიძლიათ თავად მოიფიქროთ მსგავსი სახის შეკითხვები. სავარაუდო შეკითხვები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ თემებს:
მაგ. კინო, თეატრი, მუზეუმები და ა.შ. (დაუსვით შეკითხვები სტუდენტებს კონკრეტული ფილმის, წარმოდგენის ან გამოფენის შესახებ).

პროექტი

- **დამატებითი აქტივობა:** მოიძიეთ ინფორმაცია **საყვარელ ნახატზე, ფილმზე, მუსიკალურ მიმდინარეობაზე, ჟანრზე**, **ავტორზე**. გააკეთე შესაბამისი პრეზენტაცია (სასურველია power pointi).

განათლება

ჩემი სკოლა

- **სასაუბრო აქტივობა**.
  ჯგუფებში მოუყევით ერთმანეთს სკოლაზე, რომელშიც ბავშვობაში დადიოდით.

- **დამატებითი აქტივობა**. მასწავლებელი დაფაზე წერს ცხრილში მოცემულ საკითხებს. წყვილებში აირჩიეთ სასაუბროდ შემდეგი თემები და მოიყვანეთ მაგალითები.

საყვარელი მასწავლებელი
ნაკლებად საყვარელი მასწავლებელი

საყვარელი საგანი
ნაკლებად საინტერესო საგანი

ჩემი პირველი დღე სკოლაში

საუკეთესო მეგობარი
დაუვიწყარი დღე

- **ინდივიდუალური აქტივობა**. მოსწავლეებს შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი აზრი დასახელებული სკოლის შესახებ. მოიყვანონ სათანადო არგუმენტები თავიანთი აზრის შეხედულების დასაცავად-გასამყარებლად.

- უპასუხეთ შეკითხვას _ **გააგზავნით თუ არა თქვენს შვილს იმავე სკოლაში, რომელშიც თქვენ სწავლობდით? რატომ/რატომ არა?**

დისციპლინა

- **სასაუბრო თემა:** ჯგუფებში მოუყევით ერთმანეთს:
- **თქვენ ან სხვის მიერ ჩადენილ ცუდ საქციელზე;**
- **როგორი იყო სასჯელის ფორმა როგორ დაისაჯეთ;**
- **არსებობს თუ არა თქვენს სკოლაში/კლასში ისეთი მოსწავლე, რომელიც სრულიად უმართავი და დაუმორჩილებელია?**

❖ როგორ უნდა მოვახერხოთ უყურადღებო, ე.წ. უმართავი მოსწავ-ლეების სრულფასოვნად ჩართვა სასწავლო პროცესში?

- ჩამოთვლილი სიტყვებიდან აირჩიეთ, რომელია ყველაზე მნიშვნე-ლოვანი ჰიპერაქტიური ან უდისციპლინო მოსწავლეების ყურადღების კონცენტრირების და მობილიზებისთვის?

მეგობრობა	**დაში ნება**	**წახალისება**

დამაჯერებელი საუბარი

შენიშვნა: **იმართება კამათი, მსჯელობა, აზრთა ურთიერთგაცვლა.**

დამატებითი ვარიანტი: ჯგუფებში აირჩიეთ ცხრილში მოცემული სიტყვებიდან ერთ-ერთი, იმსჯელეთ და აღწერეთ ეფექტური მეთოდი *სწავლის ეფექტურობისთვის.*

- დასჯა სკოლიდან გარიცხვა
- მშობლები ახალგაზრდა დამცველთა ინსტიტუციები
- პრივილეგიები ბავშვთა ფსიქოლოგი
- რეფორმირებული სკოლები (სწავლის გაუმჯობესებული მეთოდები);
- მსჯელობა/დისკუსია

ფინალური დავალება: დაასრულე ფრაზა – **მე რომ სკოლის დირექტორი ვიყო...**

დამატებითი აქტივობა-თამაში:

მე უკეთ ვსწავლობ, როცა...

- **ინდივიდუალური აქტივობა:** ქვემოთ მოცემული კატეგორიებიდან აარჩიე შენთვის ყველაზე მისაღები სამი ვარიანტი და არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთე მათი პრიორიტეტი და მნიშვნელობა.

  მე უკეთ ვსწავლობ, როცა...

ვუსმენ მუსიკას

სხვა მიკითხავს

ვაკეთებ ჩანაწერებს, დიაგრამას
როცა შემიძლია ვიზუალური ხატის დანახვა
ვარ მარტო
დასჯის შიშით

ხალხმრავლობაში

მე თვითონ მოვიძიებ საჭირო ინფორმაციას
წახალისებისას
ვმუშაობ მეგობრებთან ერთად

ახალი უცხო ენის სწავლის მეთოდები და ხერხები

- მცირე ზომის ჯგუფებში იმსჯელეთ სასარგებლო რჩევებზე, რომელსაც გაუზიარებთ სტუდენტს, რომელსაც სურს ახალი უცხო ენის შესწავლა.

- კლასი თანხმდება ეფექტური სწავლების 10 უმთავრეს მეთოდზე/ ხერხზე.

- **აწარმოეთ ლექსიკონი;**
- **ამოწერეთ სიტყვა რამდენჯერმე;**
- **გამოიყენე ახალი ლექსიკა წინადადებებში;**
- **გამოიყენეთ ფერები სხვადასხვა მეტყველების ნაწილებთან;**
- **დაუსვით მასწავლებელს შეკითხვები თქვენთვის ძნელად გასაგებ/პრობლემურ საკითხებზე;**
- **ერთი სიტყვიდან აწარმოე მეტყველების სხვადასხვა ნაწილი;**
- **გამოიცანი სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტიდან.**

- **დამატებით აქტივობა:** მიეცით სასარგებლო რჩევები თქვენს მეგობარს, რომელსაც აქვს სურვილი, ისწავლოს ის ენა, რომელსაც თქვენ სწავლობთ ან რომელიც თქვენ იცით.

  მაგ. არ მოერიდოს ლიმიტირებული ცოდნის გამომჟღავნება; შეეცადოს, მარტივი დიალოგის წარმართვისას იყოს უფრო თამამი/გაბედული და ა.შ.

- **დამატებითი აქტივობა:** ეწვიეთ უნივერსიტეტის ან კოლეჯის ვებ-გვერდებს და მოიპოვეთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: **კურსები, სწავლის საფასური, კვალიფიკაცია და სტუდენტისთვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.**

საკლასო მოვალეობები/საკლასო წესები

- კლასის დახმარებით მასწავლებელი ადგენს იმ მოვალეობა-ვალდებულებების ცხრილს, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტურ საგაკვეთილო პროცესს. მხედველობაში ვიღებთ როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებლის მოვალეობებს, კლასის ინტერესიდან გამომდინარე. ჩამოთვლილიდან გააკეთეთ არჩევანი.

მაგ: მოსწავლე გაკვეთილზე დროზე უნდა გამოცხადდეს.

- **მოსწავლეს უნდა ჰქონდეს გაკვეთილისთვის საჭირო ყველა ნივთი/სასწავლო ინვენტარი: წიგნი, რვეული, კალამი და ა.შ.**
- **მოსწავლე უნდა იყოს მოტივირებული;**
- **მოსწავლე ყოველდღიურად ასრულებს საშინაო დავალებას და აქტიურად არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში;**
- **მასწავლებელმა უნდა შეასწოროს საკლასო სამუშაო ტესტი ერთი კვირის ვადაში;**
- **მასწავლებელი მაქსიმალურად ცდილობს თითოეული მოსწავლის უნარ-ჩვევების წარმოჩენასა და განვითარებას;**
- **მასწავლებელი ყოველთვის ქმნის პოზიტიურ განწყობას საგაკვეთილო პროცესში;**
- **მასწავლებელი ყოველთვის უნდა იყოს ობექტური და დადებითად განწყობილი ყველა მოსწავლის მიმართ და ა.შ..**

- არჩეული იდეები ჩამოწერეთ ფორმატზე და გააკარით თვალსაჩინო ადგილზე. სახალისოა, თუ ყველა მოსწავლე, რომელიც ეთანხმება კლასის მიერ შედგენილ შინაგანაწესს, ამას ფორმატზე ხელმოწერით დაადასტურებს.

Know the Rules

Every good conversation starts with good listening.

CLASSROOM MANAGEMENT
Homework
Rules
Rewards
Transitions
Grading
Discipline
Class Jobs

გარემო

მწვანეთა მანიფესტი

გონებრივი იერიში

- სქემაზე/ნახაზზე მიუწერეთ გარემოს შემადგენელი ნაწილები:
    - **ჰაერი, მზე, მთვარე, ოკეანე, ზღვა, მთა...**
- **სასაუბრო აქტივობა:** იმსჯელეთ ჯგუფებში/ წყვილებში.
    - **რა მიზანს ისახავს მწვანეთა პარტია?**
    - **არსებობს თუ არა მწვანეთა პარტია თქვენს ქვეყანაში?**
- **გააკეთე არჩევანი:** საფრთხის სიდიდის მიხედვით ჩამოთვლილთაგან გააკეთე არჩევანი: რომელია ის უმნიშვნელოვანესი მუქარა, საშიშროება, რომელსაც ვაწყდებით გარემოსთან დაკავშირებით?
  მაგ: გამონაბოლქვი, წარმოების ქიმიური ნარჩენები, დაბინძურებული წვიმები, პესტიციდები, ნანოტექნოლოგიები და ა.შ.
- დასაბუთეთ თქვენი მსჯელობა.
- **პრობლემის დაძლევის გზები: როგორ უნდა იქნას ეს პრობლემა დაძლეული ან აღმოფხვრილი?**
- **წყვილებში/ინდივიდუალურად** ნიმუშის მიხედვით დასახეთ თითოეული საკითხის დაძლევის გზა (შესაძლებელია, იხელმძღვანელო სხვა ქვეყნის/ქვეყნების გამოცდილებით).

ნაკლები	**მანქანების წარმოება**
	ეკოლოგიურად სუფთა საწვავი
მზის ბატარეის გამოყენება	
	ალტერნატიული საწვავი
მკაცრი რეგულაციების შემოღება	
	გამონაბოლქვი
ნაკლები	**გამონაბოლქვი**

დამატებითი აქტივობა:

იმსჯელეთ ჩამოთვლილ შეკითხვებზე:

- **როგორ უნდა მოგვარდეს ნაგვის პრობლემა?**
- **რამდენად კარგად აქვთ ადამიანებს გააზრებული ეკოლოგიური პრობლემები?**
- **არსებობენ თუ არა ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნები? რა როლი აკისრიათ მათ?**

პროექტი

- ჯგუფებში დაწერეთ მწვანეთა პარტიის მანიფესტი. ჩამოაყალიბეთ და შესთავაზეთ კლასს თქვენი წინადადება, თუ როგორ უნდა მოვექცეთ დედაბუნებას.

როლური თამაში

საზოგადოების საკონსულტაციო კრება

- **სიტუაცია:** თქვენს ლამაზ ქალაქში, რომელშიც უმუშევრობის პროცენტი მაღალია, იგეგმება ქაღალდის მწარმოებელი ქარხნის აშენება. არსებობს ადგილობრივი საზოგადოებრივი აზრი გარემოს დაბინძურებისა და ახლომდებარე ტყის განადგურების საშიშროებაზე. მის გამო ტარდება უბნის კრება.
- **გადაანაწილეთ როლები. ჯგუფებში** გაითამაშეთ საზოგადოებრივი კრება, სადაც მოისმენთ საზოგადოებრივ აზრს.
- **ა) ფაბრიკა-ქარხნის დამცველ მხარეს წრმოადგენენ**: ქალაქის მერი, ქაღალდის მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენელი, მშენებელი, უმუშევარი (დაუსაქმებელი) პიროვნება. ისინი ცდილობენ მოიძიონ არგუმენტი ქარხნის მშენებლობის იდეის დასაცავად.
- **ბ) ფაბრიკის მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენენ:** მწვანეთა პარტიის წევრი, გარემოს დამცველი მეცნიერი, რეინჯერი, ადგილობრივი სასტუმროს მფლობელი, რომლებიც არგუმენტირებულად ასაბუთებენ გარემოს დაბინძურების შედეგებს.

დამატებითი აქტივობები: ეკოლოგიის დამცველი/ეკო-დამცველი

აქტივობა 1. სადისკუსიო კითხვები:

- **რას ნიშნავს ეკოლოგიის დამცველი? რა როლი აკისრია ეკოლოგიის დამცველს?**
- **რა ზომებს ატარებენ ეკოლოგიის დამცველები და როგორია მათი სტრატეგია?**

აქტივობა 2: წარმოიდგინეთ, რომ სამანქანო გზა შენდება ცნობილ და ლამაზ ბუნებაში. როგორი მეთოდით აღუდგებით ამას წინ. თქვენ რომ ეკო-დამცველი იყოთ? რა არგუმენტებს მოიყვანდით? იმუშავეთ წყვილებში, გაითამაშეთ ინტერვიუ ჟურნალისტსა და ეკო-დამცველს შორის. იმსჯელეთ განვითარების გზებსა და სამომავლო გეგმებზე ისე, რომ გზაც აშენდეს და გარემოც არ დაზიანდეს.

მოდა

სიახლეები მოდის სამყაროში

- მცირე ზომის ჯგუფებში
  მოკლედ იმსჯელეთ შემდეგ შეკითხვებზე: ჯგუფიდან აირჩიეთ წარმომადგენელი, რომელიც გააცნობს კლასს ჯგუფის მოსაზრებებს და უპასუხებს კლასის შეკითხვებს.

- სად ყიდულობთ ტანსაცმელს?
- რომელ ტანსაცმელში გაქვთ ყველაზე ძვირი გადახდილი?
- როგორ განსაზღვრავთ კარგსა და ცუდ გემოვნებას?
- ვინ იცვამს ყველაზე გემოვნებით კლასში?
- ვინ არის ყველაზე გემოვნებიანი კლასში?
- რომელია ყველაზე გავლენიანი ქვეყანა მოდის სამყაროში?

- რას ფიქრობთ ბეწვეულით ვაჭრობაზე?
- რომელია თქვენი საყვარელი დიზაინერი და რა იცით მის შესახებ?
- იკერავთ თუ არა თქვენთვის ტანსაცმელს?
- რომელი ტანსაცმლის ყიდვა განიჭებთ დიდ სიამოვნებას?
- რომელი ტანსაცმლის ჩაცმა არ გიყვართ?
- რამდენად მნიშვნელოვანია მოდა? რატომ/რატომ არა?
- ანიჭებთ თუ არა ცნობილი ბრენდის ტანსაცმელს უპირატესობას?
- რას გვიამბობს ტანსაცმელი პიროვნების შესახებ?

უნიფორმა

- **აქტივობა:** გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით ჩამოთვალეთ პროფესიები, რომლებიც უნიფორმას ატარებენ:

  მაგ: პოლიციელი, ბანკირი, მეეზოვე, ექიმი (ქირურგი), პანკები, თინეიჯერები, სერფერები, დაივერები, მოთხილამურეები და ა.შ.

- მცირე ზომის ჯგუფებში იმსჯელეთ, რატომ აცვიათ ამ ადამიანებს განსხვავებულად?

- **დამატებითი აქტივობა:** ჩამოწერეთ უნიფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები. გავაკეთო დიდი ნახაზი დადებთი უარ-ყოფით

დადებითი	**უარყოფითი**
• ყველა თანაბარია • ნაკლები ყურადღება ვიზუალურ მხარეზე • გამოგარჩევს სხვა პროფესიისგან	• კარგავ ინდივიდუალობას • ერთფეროვნება • ვერ ხარ მოდური

დამატებითი შეკითხვები:
გეცვათ თუ არა ოდესმე უნიფორმა?
მოგვიყევით, როდის და სად გეცვათ ის?
რითი განსხვავდება უნიფორმა დრესკოდისგან?

საინტერესო ფაქტები მოდის შესახებ

წერითი აქტივობა.

- **დაწერეთ ესე** – ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ სკოლის მოსწავლეს უნდა ეცვას უნიფორმა.

ცნობილი ადამიანები და მათი ვიზუალი

- ქვემოთ მოცემულია იმ ადამიანების სია, რომლებიც განსა-კუთრებულად იცვამენ.

მაგ: სალვადორ დალი; აინშტაინი; კოკო შანელი; მარლენ დიტრიხი; ჩარლი ჩაპლინი; ლედი დი (პრინცესა დაიანა); მერლინ მონრო და ა. შ.

- აღწერეთ მათი ჩაცმის გამორჩეული სტილი და რაზე მეტყველებს ის. მასალა შეგიძლიათ მოიძიოთ ინტერნეტში. ასევე, დაუმატოთ სხვა ადამიანები გამორჩეული ჩაცმულობით.
- მცირე ზომის ჯგუფებში იმსჯელეთ, რატომ აცვიათ ამ ადამიანებს განსაკუთრებულად/ განსხვავებულად?

ტანსაცმლის ქსელები

წერითი აქტივობა: დაწერეთ ესსე შემდეგ თემებზე:

- **ქამარი იმდენზე შემოიჭირე, რამდენზეც შემოგწვდება/მოგწვდება;**
- **მოდას აჰყვე - სისულელეა, ჩამორჩე - სასაცილოა;**
- **მოდაშია ის, რაც გიხდება.**

მოიფიქრეთ კიდევ სხვა გამონათქვამები მაგალითის მიხედვით:
მაგ: ტანსაცმელი გვიამბობს ადამიანზე.

წერისთვის აუცილებელი საფეხურები:

- ფურცელზე ჩამოწერეთ თქვენი მოსაზრებები არჩეული თემის გარშემო (არ იფიქროთ აკურატულობაზე);
- დაალაგეთ აზრები (2-3) პრიორიტეტების მიხედვით (შეგიძლიათ ზოგი უარყოთ);
- იფიქრეთი არგუმენტის გასამყარებლად და მოიყვანეთ სათანადო მაგალითები;
- იფიქრეთ შესავალსა და დასკვნაზე;
- დაწერეთ თემის მონახაზი;
- გაუკეთ რედაქტირება (აკურატულობა, გრამატიკული და ლექსიკური სისწორე).

- ***თამაში "გამოიცანი".*** აღწერეთ ერთ-ერთი საერთო ნაცნობის _ **კლასელის, მებუფეტის, დარაჯის, სკოლის დირექტორის, მებაღის და ა.შ. ჩაცმულობა**. ის, ვინც გამოიცნობს, აგრძელებს თამაშს.
- ინტერნეტის საშუალებით მოიძიეთ ინფორმაცია ცნობილ დიზაინერზე. გააკეთეთ ჩანაწერები მოკლე პრეზენტაციისთვის. კლასში მოიტანეთ და წარადგინეთ სურათები მისი (დიზაინერის) კოლექციიდან. განმარტეთ, რატომ აირჩიეთ ეს დიზაინერი.

საკვები

ჭამის კულტურა სხვადასხვა ქვეყანაში (გონებრივი იერიში)

დაასრულე შემდეგი წინადადებები:

- მაგ: ამერიკელი ჭამს. . .
- ჭამის დროს იაპონელისთვის მნიშვნელოვანია . . .
- ფრანგებს უყვართ.. . .
- ისლამისტურ ქვეყნებში მიღებულია...
- ქართველებს გვიყვარს, როცა. . .

მცირე ზომის ჯგუფებში მოუყევით ერთმანეთს, რა მიირთვით და დალიეთ გუშინ? მიირთმევთ თუ არა ჯანმრთელ საკვებს?

დამატებითი აქტივობა: *ჩამოწერეთ სწრაფი კვების დადებითი და უარყოფითი მხარეები.*

დადებითი	უარყოფითი
დროის ეკონომია	არაჯანსაღი საკვები
გემრიელია	იწვევს სხვადასხვა დაავადებას
კარგად შეფუთულია	იწვევს დამიკიდებულებას და მიმზიდველია

დამატებითი შეკითხვები: *წყვილებში დაუსვით ერთმანეთს ქვემოთ ჩამოთვლილი შეკითხვები:*

- ხარ კარგი მზარეული?
- რომელია შენი საყვარელი ხილი?
- რომელი იყო ყველაზე ძვირი სადილი, რაც კი ოდესმე გიჭამია?
- რა აზრის ხართ ქართულ, იტალიურ, ბერძნულ, იაპონურ და აშ. სამზარეულოზე?
- რომელია თქვენი ქვეყნისთვის დამახასიათებელი კერძი?
- რომელ პურს ანიჭებთ უპირატესობას და რატომ?
- ვინ ამზადებს სადილს თქვენ ოჯახში?

- **აქტივობა 2:** მცირე ზომის ჯგუფებში მოიპოვეთ ინფორმაცია, რამდენ განსხვავებული რესტორანში არიან ნამყოფი თქვენი ჯგუფის წევრები.
  მაგ. ჩინურში, ბერძნულში, იტალიურში, ფრანგულში და ა.შ.

- დაადგინეთ, რომელი ჯგუფის წევრები არიან თქვენზე ბევრჯერ ნამყოფი ზემოთ ჩამოთვლილ რესტორნებში? თხოვეთ, გაგიზიარონ განცდილი შთაბეჭდილება.

თამაში – გამოიცანი

- ჯგუფებში რიგრიგობით მოიფიქრეთ ბოსტნეული და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ ათ შეკითხვას ბოსტნეულის დასახელების გარეშე. თითოეული შეკითხვის დასმის შემდეგ სხვა ჯგუფის წევრები შეეცდებიან გამოიცნონ ბოსტნეული. ის, ვინც პირველივე ცდაზე სწორად დაასახელებს, მიიღებს 10 ქულას; მეორე ცდაზე – 9 ქულას და ა.შ.

- **შეიძლება მისი მოხარშვა?**
- **თვლადია თუ უთვლადი ეს ბოსტნეული?**
- **შეძლება მისი უმად ჭამა?**
- **მწარეა თუ ტკბილი?**
- **მიირთმევს მას ხალხი დიდი რაოდენობით საქართველოში, აშშ-ში, ევროპაში?**

- **რა რაოდენობით მიირთმევენ ამ ბოსტნეულს საქართველოში?**
- **რასთან ერთად მირთმევენ ამ ბოსტნეულს?**
- **რა ფერისაა? რა ზომისაა? რა ფორმა აქვს? რომელ ასოზე იწყება?**

ლობიოს კერძები

- მცირე ზომის ჯგუფებში შეადგინეთ ლობიოს სხვადასხვა გემრიელი კერძის ნუსხა. მაგ: ლობიანი, ნიგვზიანი ლობიო, ამოზელილი ლობიო და ა.შ.)
- მოიფიქრეთ ინდივიდუალურად და დაწერეთ ლობიოს გემრიელი და სრულყოფილი კერძის რეცეპტი. შეუდარეთ თქვენი მოსაზრება სხვისას.
- მსგავსი აქტივობა შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი კერძის მომზადების შემთხვევაში.

საუბარი დღის რაციონზე

- მასწავლებელი უსვამს შეკითხვას თითოეულ სტუდენტს. ჩაიწერეთ მათი პასუხები.

- რამდენ ფინჯან ყავას ან ჩაის სვამთ დღეში?
- რომელ საათზე საუზმობთ, სადილობთ და ვახშმობთ ყოველდღიურად?
- რას მიირთმევთ საუზმეზე?
- მიირთმევთ უმ კვერცხს?
- მიირთმევთ ჯანმრთელ საკვებს?
- გაგისინჯავთ იაპონური, ბერძნული, ინდური კერძები?
- რამდენად ხშირად დადიხართ რესტორანში, კაფეში, ბარში?
- რამდენს ხარჯავთ ყოველდღიურ პროდუქტებში?
- რომელ საკვებს ან სასუსნავს ყიდულობთ ხშირად?
- გიყვართ თევზი და ჩიფსი?
- კოკა კოლას ანიჭებთ უპირატესობას თუ პეპსის?
- ხშირად ყიდულობთ ახალ პროდუქტს?
- ბევრ შოკოლადს მიირთმევთ?

პროდუქტების სია

- იმუშავეთ მცირე ზომის ჯგუფებში. მასწავლებელი აძლევს იმ კერძების ჩამონათვალს/სიას, რომლის გაკეთებასაც აპირებენ მოსწავლეები. ჩამოწერეთ ყველა ინგრედიენტი, რაც კია საჭირო ამ კერძის მოსამზადებლად. როდესაც დაასრულებთ სიის შედგენას, გადახედეთ სხვა გჯუფების ნუსხას და გამოიცანით, რომელი დღესასწაულისთვის ემზადებიან.

- **კვირის სადილი ხუთ ადამიანზე;**
- **სადილი ფიტნეს-ფანებისთვის;**
- **რომანტიკული სადილი ორ ადამიანზე;**
- **პიკნიკი პარკში;**
- **ნოყიერი ინგლისური საუზმე;**
- **დაბადების დღის სუფრა;**

რესტორნები

- იმუშავეთ მცირე ზომის ჯგუფებში. მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს უსახელებს განსხვავებული ტიპის რესტორანს. შეადგინეთ მენიუ, რომელშიც შევა - სტარტერი (ცივი კერძები), მთავარი კერძები, ცხელი კერძები, დესერტი, სასმელი.
- **გაფრთხილება:** არ დაგავიწყდეთ ფასების მიწერა.

- **სტეიკის სახლი**
- **ვეგეტარიანელების კაფე**
- **ფრანგული კაფე**
- **პიცერია**
- **რესტორანი მაგისტრალურ ტრასაზე/გზაზე**

წყვილებში დეტალურად აღწერეთ თქვენი ბოლო ვიზიტი რესტორანში.

მაგ.; სად და როდის იყავით? რა მიირთვით და დალიეთ? ვისთან ერთად იყავით? როგორ მოგემსახურათ ოფიციანტი? როგორი მუსიკა ჟღერდა? რაზე საუბრობდით? იყო თუ არა ბევრი ხალხი რესტორანში?

- კლასში თუ ვინმეს რესტორანში ან კაფეში მუშაობის გამოცდილება აქვს, უპასუხეთ კლასის მიერ დასმულ შეკითხვებს.

საჭმელი და პრობლემები – გამოსავლის ძიება

- წყვილებში მოიფიქრეთ პასუხები შემდეგ კითხვებზე

- **რომელი ქვეყანაა შიმშილის ზღვარზე?**
- **რა არის შიმშილის მიზეზი?**
- **როგორ ვებრძოლოთ და დავამარცხოთ შიმშილის პრობლემა?**
- **შეუძლიათ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებს, დაეხმარონ შიმშილის ზღვარზე მყოფ ქვეყნებს ამ პრობლემის დაძლევაში?**

იმსჯელეთ : *გენმოდიფიცირებულ საკვებსა და მის პერსპექტივებზე.*

ეგზოტიკური საჭმელი

- გიჭამიათ თუ არა ოდესმე რაიმე უჩვეულო/განსაკუთრებული კერძი?
- თქვენი აზრით, არსებობს თუ არა ისეთი საკვები, რომელიც ადამიანმა არ უნდა მიირთვას?

- მცირე ზომის ჯგუფებში იმსჯელეთ, მსოფლიოს რომელი კუთხეში და რომელი ხალხი მიირთმევს ამ საჭმელს (იგულისხმება უჩვეულო საკვები)? მიირთმევთ თუ არა ამ საკვებს საქართველოში?

ცხვრის თვალებს;
ზღვის წყალმცენარეებს,
ჩიტის ბუდისგან
დამზადებულ წვნიანს,
ქვეწარმავალს, ბაყაყის ფეხებს,
ლოკოკინას,
მაიმუნის ტვინს,
ცხენის ხორცს,
ობობას კვერცხებს და აშ.

- მოსწავლეებს შეუძლიათ განავრცონ ზემოთ ჩამოთვლილი თემები, როგორც პროექტის ნაწილი.

პროექტი

- გამოიყენეთ ინტერნეტი "უცნაური საკვების" მოსაძიებლად. **მაგ:** მწერები; ველური ხილი და აშ. მოიტანეთ კლასში აღწერილობა.
- მცირე ზომის ჯგუფებში მოიფიქრეთ და იმსჯელეთ ამ "უცნაური საკვების" მომზადებისა და ჭამის წესზე.

რას გვიმზადებს მომავალი

- **ერთ მშვენიერ დღეს ...**
- მოცემული ცხრილიდან რომელი მოსაზრება ახდება მომავალში (გამოიყენეთ რანჟირების სისტემა 10-1)

  - **კომპიუტერი დაიპყრობს მთელ სამყაროს;**
  - **შესაძლებელი იქნება დროში მოგზაურობა;**
  - **შესაძლებელი იქნება ცხოვრება სხვა პლანეტაზე;**
  - **აღმოიფხვრება ყველა დაავადება;**
  - **ადამიანები იცხოვრებენ მარსზე;**
  - **ინგლისური ენა იქნება მსოფლიოში გაბატონებული ერთადერთი ენა;**
  - **დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი იქნება შავკანიანი;**

- მასწავლებელი კარნახობს თითოეულ მოსწავლეს ერთ რომელიმე წინასწარმეტყველებას.

  მაგ.: ერთ მშვენიერ დღეს კომპიუტერი დაიპყრობს სამყაროს.

- ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრება ესეს სახით. მოსწავლეებს მივცეთ შესაძლებლობა, შეაფასონ ერთმანეთის ესეები.

დროის კაფსულა

- იმუშავეთ მცირე ზომის ჯგუფებში, ჩამოწერეთ ათი საგანი, რომელსაც მოათავსებთ დროის კაფსულაში. ეს კაფსულა 100 წლის შემდეგ გაიხსნება. თქვენ მიერ არჩეულმა საგანმა მომდევნო თაობის წარმომადგენელს გარკვეული წარმოდგენა უნდა შეუქმნას 21-ე საუკუნეზე;
- თქვენი ჯგუფის სია შეადარეთ სხვა ჯგუფის სიას და თხოვეთ სტუდენტებს, განმარტონ მათი არჩევანი.
- ქვემოთ მოცემული მაგალითები გამოიყენეთ დამხმარე საშუალებად.

- **სპორტული ფეხსაცმელი;**
- **ნაგვის პარკი**
- **მინერალური წყლის ბოთლი**
- **გაზეთი**
- **მუსიკალური ჩანაწერი**
- **ფოტოსურათი ტრანსპორტის საცობებზე**
- **უკოფეინო ყავა;**
- **ანტიდეპრესანტი;**
- **მობილური**

როგორ წარმომიდგენია ჩემი მომავალი ცხოვრება და კარიერა

- წყვილებში გადახატეთ ცხრილი და შეავსეთ ის თქვენი მეწყვილის პასუხებით _ სად იმუშავებთ 10 წლის შემდეგ?
- მცირე ზომის ჯგუფებში მოამზადეთ კითხვები საქართველოზე, ბრიტანეთზე, ამერიკაზე, ევროპის ნებისმიერ ქვეყანაზე.

ჩემი ცხოვრება	1 წელიწადში	10 წელიწადში	30 წელიწადში
სამსახური			
ოჯახი			
საცხოვრებელი ადგილი			

გეოგრაფია

- მცირე ზომის ჯგუფებში მოამზადეთ კითხვები საქართველოზე, ბრიტანეთზე, ამერიკაზე, ევროპის ნებისმიერ ქვეყანაზე;
- შეადგინეთ კითხვები ქვემოთ მოცემული სიტყვებით. დაუსვით ერთმანეთს თქვენ მიერ შედგენილი კითხვები.

- ადგილმდებარეობა
- მოსახლეობა
- კლიმატი
- ტურიზმი
- მოსახლეობის უმცირესი ნაწილი
- ეკონომიკური მდგომარეობა

- შეკითხვები ჩამოწერეთ დაფაზე. შემდეგ წყვილებს დაურიგეთ ფურცლები, რომელზეც დაწერილი იქნება ქვეყანა. მოსწავლეებმა უნდა დაწერონ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ამ ქვეყანაზე
- მასწავლებელი კითხულობს წყვილის მიერ დაწერილს და კლასი ცდილობს, გამოიცნოს აღწერილი ქვეყანა.

შემოქმედებითი აქტივობა _ აღწერეთ და დახატეთ

- წყვილებში მოუყევით ერთმანეთს ყველაზე შთამბეჭდავ ადგილზე, სადაც კი ოდესმე ყოფილხართ.

მაგ: მთა, ჩანჩქერი, ზღვის სანაპირო, ტბა, კუნძული და ა.შ.

- დასხედით ერთმანეთის პირისპირ ისე, რომ ვერ ხედავდეთ თქვენი მეწყვილის რვეულს. წარმოიდგინეთ უმშვენიერესი სცენა, დახატეთ და აღუწერეთ ის მეწყვილეს, რომელიც დახატავს თქვენ მიერ აღწერილს. შემდეგ შეადარეთ ნახატები. დარწმუნდით, რამდენად კარგად შეძელით აღწერა? რამდენად კარგი აღმწერი და აზრის გადმომცემი ხართ?

პროექტი

- დაასახელეთ ყველაზე ლამაზი და თვალწარმტაცი ადგილები საქართველოში, ევროპაში, ამერიკაში და სადაც ყოფილხართ;
- იმუშავათ ოთხ ჯგუფად, მასწავლებელი უსახელებს თითოეულ ჯგუფს ქვეყანას და რომელიმე გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას;
- ისარგებლეთ ინტერნეტით და მოიძიეთ საჭირო/სასარგებლო ინფორმაცია ამ ადგილებზე.

- როგორ შეგიძლიათ იქ მოხვედრა?
- როგორი ლანდშაფტი აქვს ამ ქვეყანას?
- რითია ეს ადგილი სახელგანთქმული?
- რომელი ღირშესანიშნავი ადგილებით არის განთქმული ეს ქვეყანა?
- როგორ შეგიძლიათ იქ გართობა?

- **გასათვალისწინებელი რჩევა:** მოამზადეთ მოკლე პრეზენტაცია კლასისთვის.

- **დამატებითი სახელმძღვანელო მასალა**:

საქართველო: კუს ტბა, მესხეთი – ვარძია, ბათუმი – დელფინარიუმი; ქუთაისი – ბაგრატის ტაძარი;

ამერიკა: დიდი კანიონი; თავისუფლების ქანდაკება; თეთრი სახლი.

თურქეთი: აია სოფიას ტაძარი; სულთნის სასახლე; ლურჯი მეჩეთი;

დიდი ბრიტანეთი: ბუკინგემის სასახლე; ტრაფალგარის მოედანი; ტაუერი, შერვუდის ტყე;

ესპანეთი: მადრიდი-ბარსელონა – კორიდის მოედნები; სალვადორ დალის სახლ-მუზეუმი; ბარსელონა – ცნობილი აკვარიუმი; ბარსელონას ფეხბურთის მოედანი;

საფრანგეთი; პარიზი – ლუვრი; ინვალიდების სასახლე; ნაპოლეონის საფლავი; ვერსალი.

დამატებითი აქტივობა: მოიტანეთ საქართველოს, ამერიკის, საფრანგეთის რუკები და მოამზადეთ მოკლე პრეზენტაცია, რომელიც მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციას.

- ისტორიული ადგილები
- ულამაზესი ადგილები
- ადგილი, საიდანაც ხართ წარმოშობით
- ამინდი
- ეკონომიკა

ჯანმრთელობა

ფორმაში ყოფნა

როგორ შევინარჩუნოთ სხეული სასურველ ფორმაში?

მასწავლებელი სვამს კითხვებს: აარჩიე და იმსჯელე

- **ვინ არის ყველაზე ჯანმრთელი კლასში /ოჯახში?**
- **როგორი ცხოვრების წესს ანიჭებენ უპირატესობას? (გამოიყენე რანჟირების მეთოდი 10-1)**
- ჯგუფებში ჩამოწერეთ 10 სასარგებლო რჩევა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც გულით სწადიათ სპორტულ ფორმაში ყოფნა.
  - **ვარჯიში;**
  - **დილით ადრე ადგომა;**
  - **კუს ტბაზე ან იპოდრომზე ვარჯიში;**
  - **სპორტულ დაბაზში სისტემატურად სიარული;**
  - **აუზზე სიარული;**
  - **ჯანმრთელი კვება;**
  - **დიეტა;**

- **მასაჟი;**
- **სამედიცინო საშუალებები;**

ჯანმრთელობის პრევენცია

მოსწავლეები სხვადასხვა ვერსიას აყალიბებენ. **მაგ:**

- **ჯანმრთელობის შემოწმება სისტემატურად;**
- **ექიმთან ვიზიტი დროულად;**
- **ანალიზების სისტემატურად ჩატარება (დავადების პრევენციის მიზნით);**
- **ჯანმრთელი ცხოვრების წესი;**
- **ზომიერი ფიზიკური დატვირთვა;**
- **დიეტის დაცვა სიმსუქნის თავიდან აცილების მიზნით და ა.შ.**
- მასწავლებელი დაფაზე წერს მათ მოსაზრებებს.

- **დამატებითი აქტივობა:** ხმათა უმრავლესობით აირჩიეთ 2 ყველაზე აქტუალურ თემა.
- კლასი იყოფა 2 ჯგუფად. ჯგუფები ირჩევენ თავიანთ სასურველ საკითხს, რომელზეც უფრო მეტი ინფორმაცია გააჩნიათ. იწყებენ არგუმენტირებულ მსჯელობას საკითხის ირგვლივ (სადისკუსიოდ ეძლევათ 5-7 წუთი);
- თითოეული ჯგუფიდან გამოდის წარმომადგენელი, რომელიც მსჯელობს არსებულ პრობლემაზე. ამავდროულად, ჯგუფის წევრებსაც შეუძლიათ ჩართვა საუბარში და არგუმენტის გაამყარება ცხოვრებისეული მაგალითებით.

წერითი აქტივობები კვება

- კლასი დაყავით მცირერიცხოვან ჯგუფებად, შეადგინეთ საყიდლების სია, რომელიც შედგება 10 დასახელების პროდუქტისგან. თითოეული მათგანი უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს: **მარილიანი, ტკბილი, დაკონსერვებული, დაკონსერვებული პროდუქ-ტი, ხორცის ან თევზის სახეობა, მწვანე და ფერადი ბოსტნეული, ხილი, რძის პროდუქტი.**

- გაუცვალეთ სია სხვა ჯგუფს. თქვენ ახლა გაქვთ ათი წუთი, რათა შეთანხმდეთ კერძზე, რომელიც ორი თავისაგან შედგება, გაითვა-ლისწინეთ, რომ იყენებთ სიაში ჩამოთვლილ ყველა ინგრედიენტს. თქვენ შეგიძლიათ დაა-მატოთ მხოლოდ მარილი, წიწაკა და ზეთი. აღწერეთ კლასში თქვენ მიერ მომზადებული კერძი. ჩაატარეთ კენჭისყრა და შესაბამისად, ხმა მიეცით იმ კერძს, რომლის გასინჯვასაც ყველაზე მეტად ისურვებდით.

სახალისო აქტივობები

კვებისთვის ვარგისი და უვარგისი პროდუქტები

- დასხედით ერთმანეთის პირისპირ. რიგრიგობით ესროლეთ ერთ-მანეთს ქაღალდის ბურთი, სროლისას თქვით არსებითი სახელი მასწავლებლის მოწოდებულ თემაზე, **მაგ. საკვები პროდუქტი, ხილი, ბოსტნეული, ტკბილეული, სასმელი**.
- ბურთის დაჭერისას დაუყოვნებლივ უნდა თქვათ სიტყვა მოცემულ თემაზე,

  მაგ: (ბურთის სროლა) – კვერცხი,
  (ბურთის დაჭერა) – თოხლო, ომლეტი, მოხარშული;
  (ბურთის სროლა) – ხორცი,
  (ბურთის დაჭერა) – მოხარშული, გატარებული, შემწვარი.

წერითი აქტივობა

- **გადახაზეთ ზედმეტი**
- მასწავლებელი გკარნახობთ ოთხ სიტყვას. დაფიქრდი და გადახაზე თემატურად შეუსაბამო სიტყვა. მსჯელობის დროს დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.

მაგ: კომბოსტო, ფორთოხალი, კარტოფილი, ხახვი

- მიიღეთ მხედველობაში, რომ შესაძლებელია პასუხი იყოს განსხვა-ვებული. რიგრიგობით დაასაბუთეთ თქვენ მიერ არჩეული პასუხები.
- **მაგ: ავირჩიე კომბოსტო, რადგან იგი ჩამოთვლილთაგან ერთადერთი მწვანე შეფერილობის პროდუქტია; ან ფორთოხალი, რადგან მას არ იყენებენ წვნიანის მოსამზადებლად.**

შესაძლებელი ვარიანტები:

- **ლიმონი, გრეიფრუტი, ყურძენი (ცაცხვი, კირი, ლიმონის ნაირსახ.);**
- **მაცივარი, ქურა, მიკროტალღოვანი ღუმელი, ტოსტერი;**
- **ინდოელი, ჩინელი, ფრანგი, იტალიელი;**
- **კვერცხის შეწვა, მოხარშვა, შეწვა, მოხრაკვა;**
- **პური, ნამცხვარი, ღვეზელი, პუდინგი;**
- **ბეკონი, კვერცხი, პომიდორი, გახუხული პური;**
- **ყუთი, ბოთლი, ქილა, დოქი.**

დამატებითი წამახალისებელი აქტივობა

- თითოეულმა ჯგუფმა დაწერეთ კიდევ ხუთი მსგავსი ვარიანტი და იმუშავეთ ზემოთ აღწერილი ინსტრუქციის თანახმად. დააკვირდით, შეძლებენ თუ არა ჯგუფის სხვა წევრები, ამოიცნონ სიტყვა, რომელიც არ შეესაბამება დანარჩენ სიტყვებს.



სმენითი აქტივობა

იპოვეთ ხმები

- იმუშავეთ წყვილებად და განიხილეთ, თუ როგორ გამოთქვამთ ბგერებს თქვენს მშობლიურ ენაზე და ასევე ინგლისურ (ფრანგულ, გერმანულ, რუსულ და სხვა) ენებზე, **მაგ: ხმა, რომელიც გაისმის ორი მანქანის შეჯახებისას – ჯახ -crash**
    - **ხმა, რომელსაც გამოსცემს მანქანის სიგნალი (პიპინი);**
    - **რას აკეთებს კატა, როდესაც ის ბედნიერია (კრუტუნებს);**
    - **ხმა, რომელსაც იწვევს ქვაბის დავარდნა იატაკზე (წკარუნი, ჟღარუნი);**
    - **ხმა, რომელიც გამოიცემა ხორცის შეწვისას (შიშხინი);**
    - **რას აკეთებს გველი (სისინებს);**
    - **ხმა, რომელიც გესმით, როდესაც ქინძისთავს უჩხვლეტთ ბუშტს (გასკდომა);**
- **დამატებითი აქტივობა.** იმუშავეთ წყვილებად, შეხედეთ მოცემულ სიტყვებს და წარმოსთქვით. გამოიცანით, რა ან ვინ გამოსცემს ამ ხმებს. შეადარეთ თქვენი და თქვენი მეწყვილეს მოსაზრებები.

  მაგ: ზუზუნი, წკარუნი, ჭრიალი, ღრენა, კრუტუნი, ჭყაპუნი, შრიალი, ტკაცუნი, ბრაგვანი.

სასაუბრო აქტივობა

- **ოჯახი;**
- **ნათესავები;**
- **მეზობლები;**

- დაასრულე ქვემოთ მოცემული წინადადებები
    - **ჩემი ოჯახი არის... (მრავალრიცხოვანი, მცირერიცხოვანი, მეგობრული ...);**
    - **ამჟამად ჩემი ძმა, და, დეიდაშვილი, ბიძა, მამა, დედა... (ალექსი ზის თავისი ოფისის მაგიდასთან. დეიდა მერი ბაღს უვლის და ა.შ).**

სასაუბრო აქტივობა*საქმიანი გარემო*

- იმუშავეთ ჯგუფთან ერთად. მოიფიქრეთ, **ვის აქვს:**
    - **ყველაზე მეტი სამუშაო;**
    - **ყველაზე რთული საქმე;**
    - **ყველაზე საინტერესო სამსახური;**
    - **ყველაზე მოსაწყენი სამსახური;**
    - **ყველაზე სტრესული სამსახური;**
    - **ყველაზე ხანგრძლივი სამუშაო გრაფიკი.**
- აქტივობა ტარდება კითხვა-პასუხის მეთოდით.

ზეპირი აქტივობა

ქალაქი და სოფელი

- კლასი გავყოთ ორ ჯგუფად. ერთი ჯგუფი იცავს **ქალაქის** პოზიციას, მეორე ჯგუფი კი – **სოფლის.**

- ორი წუთის განმავლობაში დაასახელეთ ქალაქისთვის/სოფლისთვის დამახასიათებელი პროფესიები.
    - **მაგ: სოფელი _ ფერმერი, მწყემსი, მეხრე, კომბაინერი, მწველავი, მეცხვარე...**
    - **ქალაქი – მეცნიერი, მკვლევარი, ლექტორი, დიზაინერი, მომ-ღერალი, მსახიობი...**
    - დაასახელეთ პროფესია, რომელიც საერთოა როგორც სოფლისთვის, ასევე ქალაქისთვის.
    - **მაგ: მასწავლებელი, ექიმი, დარაჯი, ბუღალტერი...**

__დამატებითი აქტივობა:__ მაგ: ფიზიკური და გონებრივი სამსახურები ქალაქში/სოფელში.

- **მაგ: პოლიციელი უფრო მეტად საჭიროა ქალაქში, თუ სოფლად. მოიყვანეთ არგუმენტები.**

წერითი აქტივობა

ინტერვიუ სამუშაოს მისაღებად

- დაიყავით პატარა ჯგუფებად. სამუშაო განაცხადისთვის დაასახელეთ სხვადასხვა სიტყვა;
- ჩამოწერეთ დაფაზე სიტყვები, რომლებიც შესაძლოა გამოვიყენოთ გასაუბრებამდე, გასაუბრების დროს და მის შემდგომ პერიოდებში;

მაგ. CV, ვაკანსია, განაცხადის ფორმა, გასაუბრება, გასაუბრების ცხრილი, გადახდა, კონტრაქტი, გამოსაცდელი ვადა, მენეჯერი, პროფესიული გამოცდილება.

- შემდეგ შეადგინეთ თქვენი საკუთარი **CV** და წარუდგინეთ თქვენს ჯგუფს.

ზეპირი აქტივობა – ვილაპარაკოთ სხეულის ენით

- იმუშავეთ ორ ჯგუფად. თითოეულმა ჯგუფმა ჟესტების ენით წარმოადგინოს ერთ-ერთი პროფესია, რომელიც უნდა გამოიცნოს მეორე ჯგუფმა.
- შესაძლებელია იგივე აქტივობა შესრულდეს ნახატით ან სიტყვიერი აღწერილობით.
- რეკომენდებული პროფესიები: **მიმტანი, ექიმი, მებაღე, კალატოზი, პოლიციელი, ხურო, ჯარისკაცი, მხატვარი, მიმღები, შეფ-მზარეული, ქირურგი, ფერმერი, ვეტერინარი, მაღაროელი, ძიძა, მდივანი.**

აქტივობა-თამაში _ სად ვმუშაობ მე?

- მოსწავლეები რიგრიგობით გამოდით დაფასთან, სხდებიან სახით კლასისკენ და ზურგით დაფისკენ. მასწავლებელი წერს თქვენს სამსახურს დაფაზე (რომელიც თქვენთვის უცნობია). დასახელებული სამსახურის გამოსაცნობად მოსწავლე უსვამს **დიახ/არა** კლასელებს შემდეგი სახის კითხვებს. შეკითხვების მაქსიმალური რაოდენობა ათს არ უნდა აღემატებოდეს: ***მაგ: ოფისში ვმუშაობ? ნივთებს ვამზადებ? უნიფორმა მაცვია? და ა.შ.***

პუნქტუაცია ? ! . , : ; ”...” .

- იმუშავეთ წყვილებში. იფიქრეთ, რას გვიამბობს ქვემოთ მოცემული სასვენი ნიშნები.
  მაგ: მე ვარ წერტილი. ვასრულებ აზრს და სადაც მე ვარ, იქ ტონი დაწეულია.

    - კითხვის ნიშინი - ?
    - აპოსტროფი - ‘
    - ძახილის ნიშანი -!
    - ბრჭყალები - “–“
    - ფრჩხილები- ( )
    - წერტილ-მძიმე - ;
    - ვარსკვლავი - *
    - დეფისი –

სიყვარული არის...

- იმუშავეთ პატარა ჯგუფებად. თითეულმა დაწერეთ შესაბამისი დაბოლოებები შემდეგი განსაზღვრებებისთვის:
    - **სიყვარული არის... მეგობარი არის... დრო არის...**
    - **ცხოვრება არის... ძაღლები არიან... მუსიკა არის...**
    - **რელიგია არის... სიბერე არის... ბედნიერება არის...**
    - **ხელოვნება არის... ახალგაზრდობა არის... ბავშვები არიან...**
- წაიკითხეთ მხოლოდ თქვენ მიერ დაწერილი დაბოლოებები და ნახეთ, შეძლებს თუ არა კლასი განმარტებების მიხვედრას.

მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები

- რას იტყვით ქვემოთ ჩამოთვლილ დაწყვილებულ სიტყვებზე;
- წყვილებში შეადგინეთ და დაწერეთ წინადადებები ქვემოთ მოცემულ დაწყვილებულ სიტყვებზე მათ შორის განსხვავებების საჩვენებლად.
  მაგ: მან გაძარცვა დაახლოებით 20 ადამიანი. მთლიანობაში მან მოიპარა დაახლოებით 500 €.

  რა განსხვავებაა ამ წინადადებებს შორის.
    - **ძარცვა/მოპარვა;**
    - **ადგომა/ამაღლება;**
    - **შეცდომა/ბრალი;**

- **მოტანა/წაღება;**
- **ტყუილი/დადება;**
- **თქმა/მოყოლა;**
- **გასული/წარსული;**
- **მთავარი/პრინციპი;**
- **გონიერი/მგრძნობიარე;**
- **მალე/ამჟამად;**
- **იღბალი/შანსი;**
- **ტარება/ჩაცმა;**
- **ყურება/ხედვა;**

სასაუბრო აქტივობა ფერები

მცირე ჯგუფში უპასუხეთ კითხვებს და განმარტეთ თქვენი პასუხები:

- **რომელი ფერები არ უხდება ერთმანეთს? ან არ შეეფერება?**
- **რა ფერებია თქვენს ოთახში/ბინაში/სახლში?**
- **რომელი ფერების დომინირების შემთხვევაში არის ადამიანი მოწყენილი/ბედნიერი/აგრესიული?**

- **რა ფერის წინდები გაცვია დღეს? არ შეხედო!**
- **რა ფერებია შენს ეროვნულ დროშაზე? რას აღნიშნავენ ისინი?**
- **რას აღნიშნავს სხვადასხვა ფერი თქვენს კულტურაში?**

დამატებითი აქტივობა 1. რა ფერებად აღიქვამთ შემდეგ სიტყვებს:

- **სიყვარული;**
- **სიკვდილი;**
- **ბედნიერება;**
- **შიმშილი;**
- **სიმდიდრე;**
- **ძილი.**

იმსჯელეთ მოცემული კითხვის გარშემო: **რომელია შენი საყვარელი ფერი? რატომ?**

დამატებითი აქტივობა 2. მცირე ზომის ჯგუფში უპასუხე ქვემოთ მოცემული კითხვების პასუხებს და ჩაინიშნე ისინი. ზოგიერთ შეკითხვას ერთზე მეტი პასუხი აქვს. ერთ ფერზე ერთი ქულა დაიწერეთ.

- **რა ფერს მიიღებთ ლურჯი და ყვითელი ფერების შერევით? (მწვანე)**
- **რა ფერისაა პლანეტა მარსი? (წითელი)**
- **რა ფერს მიიღებთ წითელი და მწვანე ფერების შერევით? (ყავისფერი)**
- **რა ფერს მიიღებთ შავი და თეთრი ფერების შერევით? (ნაცრისფერი)**
- **რა ფერის თვალები მაქვს? (დახუჭეთ თვალები და ნახეთ, ვის დაამახსოვრდება)**
- **რა ფერია ალისფერი? (წითელი)**

კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება

- 21-ე საუკუნეში თქვენ, მასწავლებლებს, დიდი მისია გაკისრიათ-წვლილი შეიტანოთ მოსწავლეთა ინტელექტის განვითარებასა და საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების საქმეში. ეს ნიშნავს იმას, რომ მოსწავლემ უნდა შეძლოს სწორად შეარჩიოს და დასვას კითხვა და ადეკვატურად და ლოგიკურად უპასუხოს მას. შეიძლება, ეს ოდნავ უცნაურად ჟღერდეს მშობლიური ენის მასწავლებლებისათვის (თუმცა, ღრმად ვარ დარწმუნებული, ქვემოთ მოცემული სავარჯიშოები დიდად დაეხმარება არა მარტო უცხო ენების პედა-გოგებს, არამედ სხვა საგნის სპეციალისტებსაც). მოცემული თამაშები დაეხმარება მასწავლებელს განუვითაროს მოსწავლეს წარ-მოსახვით_შემეცნებითი უნარი, ასწავლოს მას სწორად კითხვის და-სმა და შესაბამისი პასუხის გაცემა. ამის საილუსტრაციოდ გთა-ვაზობთ რამდენიმე სავარჯიშო-აქტივობას, რომელიც განავითარებს და გაზრდის კითხვის უნარ-ჩვევებს მოსწავლეებში.

კითხვის უნარ-ჩვევები

აქტივობა - კითხვა ჩემს ცხოვრებაში

კლასში ჩაატარეთ გამოკითხვა.

რას კითხულობთ დღის განმავლობაში?

მაგ. გაზეთი, ჟურნალი, წიგნი, რეკლამა,ეტიკეტი,რეცეპტი....

გავაკეთოთ დასკვნა. - **კითხვა ჩვენი ცხოვრების აქტიური/განუყოფელი ნაწილია.**

იმუშავეთ ჯგუფებში. **ჯგუფი ა** ჩამოწერეთ რას კითხულობთ აქტიურად. (სახელმძღვანელო, წერილი და ა.შ)

ჯგუფი ბ რას კითხულობთ პასიურად. (რეკლამა, ჟურნალი „საგაზეთო სათაური და ა.შ)

დამატებითი აქტივობა: - კითხვები მსჯელობისთვის.

ჯგუფებში იმსჯელეთ და გაუზიარეთ ერთმანეთს იდეები

შენიშვნა: კითხვები შეიძლება წინასწარ ჩამოწეროთ დაფაზე ან ფურცელზე დაბეჭდილი კითხვარის სახით და მიაწოდეთ მომუშავე ჯგუფებს. მაგალითად, სავარაუდო კითხვები შეიძლება ასე ჟღერდეს:

- **კითხულობთ თუ არა თავისუფალ დროს?**
- **როგორ წიგნებს ანიჭებთ უპირატესობას?**
- **რომელია საუკეთესო წიგნი, რომელიც ოდესმე წაგიკითხავთ?**
- **რატომ მოგეწონათ ის ასე ძალიან?**
- **ხართ თუ არა სწრაფი მკითხველი?**
- **კითხულობთ ჟურნალებსა და**
- **კომიქსებს? და რატომ?**
- **რას ფიქრობთ ელექტრონულ წიგნებზე?**
- **როგორ ფიქრობთ, ტრადიციულ წიგნებს შეცვლიან თუ არა ოდესმე ისინი?**

საკლასო მინი კვლევა

გამოკითხვის შემდეგ „pie-chart“-ს მეშვეობით დაადგინეთ კლასის რა პროცენტული რაოდენობა კითხულობს ყოველდღე და რა სახის ლიტერატურას ანიჭებს უპირატესობას?

ჩარტში შეგიძლიათ მოათავსოთ შემდეგი საკითხები:

რომანები, ყვითელი პრესა, ყოველდღიური გაზეთები და ჟურნალები, კომიქსები, აბრები და სარეკლამო ინსტრუქციები.

შენიშვნა: ნუ შეგეშინდებათ ხმაურის, მიეცით მოსწავლეებს საშულება, რომ თავისუფლად იმოძრაონ და ითანამშრომლონ სხვადასხვა ჯგუფებთან, ეკამათონ ერთმანეთს და მივიდნენ საერთო აზრამდე, გააკეთონ დასკვნები.

სასაუბრო აქტივობა



კითხვა ზოგადი ინფორმაციისთვის.

- კლასი გაყავით ორ ჯგუფად და განსაზღვრულ დროში შეეცადეთ მოსწავლეებმა მოგაწოდონ რაც შეიძლება მეტი ლიტერატურული ჟანრები:

დეტექტივი, სასიყვარულო ,სათავგასავლო, ისტორიული და ა. შ.)

- **წერითი აქტივობა:** დაფაზე დაწერეთ წარმოდგენილი ლიტერატურული ჟანრები: **სათავგადასავლო, საშინელებათა, დეტექტივი, ისტორიული რომანი, სასიყვარულო ისტორიები და ყველასთვის საყვარელი ზღაპარი.**

დაყავით კლასი რაოდენობის მიხედვით ჯგუფებად.

- თითოეული ჯგუფი ირჩევს მისთვის სასურველ ჟანრს და ამ კატეგორიისთვის დამახასიათებელ საინტერესო ისტორიას ქმნის. სთხოვეთ ჯგუფებს, შექმნან ისტორიები, განავითარონ სიუჟეტი და დაასრულონ მოთხრობა მათი ცოდნისა და შესაძლებლობების ფარგლებში.

შესაძლებელია, ჯგუფებმა ნიმუში წარადგინონ ნასწავლი ისტორიული ნარკვევიდან ან მხატვრული ლიტერატურიდან.

- ჯგუფის მიერ არჩეული სპიკერი წარადგენს თხზულებას.

შენიშვნა: კლასის შესაძლებლობებიდან გამომდინარე შეგიძლიათ გაართულოთ დავალება. მიაწოდეთ სხვადასხვა სიუჟეტი ჯგუფებს. ჯგუფი 1 წერს მოთხრობის პირველ სცენას და ქმნიან მოთხრობას; ჯგუფი 2 წერს მოთხრობის ძირითადი ნაწილის განვითარებას; ჯგუფი 3 აკეთებს მოთხრობის ანალიზს.

თამაში 3

1. დასვით კითხვა -
   რა სახის ლიტერატურას იცნობთ?
   ყველა შემოთავაზებას დაფაზე წერთ
   და ადგენთ სიას.
   შემოთავაზებული ჟანრები, სავარაუდოდ, იქნება:

   ისტორიული, დეტექტივი, სამეცნიერო ფანტასტიკა,რომანი, ოჯახური პორტრეტი.

- ეს სავარჯიშო წყვილებს შორის კეთდება.

- მიეცით დავალება მოსწავლეებს წარდგენილი ჟანრებიდან აირჩიონ მათთვის საყვარელი მიმდინარეობა და გმირი.
- ბავშვები ერთმანეთთან საუბრობენ და ახსენებენ ერთმანეთს დეტალებს არჩეული ნაწარმოებიდან.

ჯგუფები წარმოადგენენ ნამუშევარს მეგობრების წინაშე.

შენიშვნა: **შეიძლება გაართულოთ დავალება, თუ კლასი ძლიერია.**

- გაიხსენეთ ლიტერატურული ნაწარმოებები, ავტორები, გმირები მოცემული ჟანრებიდან.
- გადააკეთეთ მოცემული ნაწარმოები და შეიყვანეთ მასში ახალი პერსონაჟი. მაგ:

შერლოკ ჰოლმსი, დოქ. ვოტსონი და ანა კარენინა. რობინ ჰუდი, შერვუდის ტყე და ვერტმფრენი და ა.შ

- ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციას.

აქტივობა-წერა წრეში

მოცემული დავალების ალტერნატიული ვარიანტი იქნება თუ თქვენ დაყოფთ მოსწავლეებს მცირე ჯგუფებად.

- თითოეულ ჯგუფს მიეცით განსხვავებული თემა და სთხოვეთ შეთხზან ისტორია-ამბავი-მოთხრობა. (მიეცით დეტექტივი ერთ ჯგუფს, მეორეს–სასიყვარულო ისტორია, მესამე ჯგუფი ქმნის დრამას, მეოთხე –ზღაპარს და ა.შ.)
- შეიძლება ამ დავალებას მისცეთ განსხვავებული სახე. მაგ: დაავალეთ ერთ ჯგუფს შექმნას მოთხრობის დასაწყისი, შემდეგ გადააწოდოს ის მეორე ჯგუფს, რომე-
- ლიც სიუჟეტს განაგრძობს და ასე გრძელდება მანამ, სანამ არ დამთავრდება მოთხრობა.
- შემდეგ ჯგუფები ერთმანეთის წინაშე წარდგებიან და კითხულობენ თავიანთ თხზულებას.
- თუ მოცემული ამბავი ნაცნობია კლასისთვის, მოსწავლეებს შეუძლიათ შეასწორონ ყველა ის შეცდომა, რომელსაც იპოვიან სხვა ჯგუფის ნაწერში. ამისთვის ისინი ირჩევენ მოხალისეს, რომელიც კლასში ჯგუფის ნამუშევრის საბოლოო ვერსიას წარადგენს.

თამაში 4

შემდეგი თამაში არის სახელწოდებით „**საბედნიეროდ-საუბედუროდ**“.

- მიაწოდეთ საინტერესო სიტუაცია მოსწავლეთა ერთ ჯგუფს, რომელმაც უნდა მოიგონოს ამ ამბის **ბედნიერი დასასრული**, ხოლო მეორე ჯგუფმა – **სამწუხარო დასასრული**. მაგალითისთვის მასწავლებელმა, შეიძლება, შემდეგნაირი სიტუაცია შეადგინოს:

„მიკი ჩამოვიდა მატარებლიდან და ბაქანზე თვალი მოჰკრა მშვენიერ ქალბატონს, ანის.“

„იდგა უკუნეთი ღამე. შუა ტყეში მიმავალ ფრენკს უცბად მანქანა გაუფუჭდა.“

„პრინცი რაშს მიაჭენებდა როცა...“

„ჩვენი ოჯახი იყო უკიდურესად გაჭირვებული.მმაგრამ უცაბედად ჩვენი ფერმის ტერიტორიაზე აღმოჩენილმა ნავთობმა რადიკალურად შეცვალა ოჯახის მდგომარეობა“

ეს დავალება შეიძლება სხვადასხვა მეთოდით წარიმართოს.

- ერთმა ჯგუფმა დაიწყოს და დაასრულოს ბოლომდე მოცემული დავალება და წარმოადგინოს კლასის წინაშე.
- შემდეგ მოსწავლეებმა ჯგუფში შექმნან,/შეთხზან განსაზღვრული ეპიზოდი ამბის, ვთქვათ დასაწყისი. ფურცელს კეცავენ ისე, რომ მეორე ჯგუფი, რომელიც იღებს წერილს, კითხულობს მხოლოდ ბოლო წინადადებას გავრცობილი თხზულების და ამ წინადადებაზე დაყრდნობით ანვითარებს სიტუაციას, თხზავს გაგრძელებას ამბის და ისევ აწვდის შემდეგ ჯგუფს ან წყვილს, რომელიც ასევე კითხულობს მხოლოდ ერთ წინადადებას შექმნილი ისტორიის და ასე გრძელდება მანამ, სანამ პირველ წყვილს არ დაუბრუნდება ფურცელი.
- წყვილები ან ჯგუფები თავიანთ ვარიანტებს წარმოადგენენ. ზუსტად კითხულობენ იმას, რაც წერია ფურცელზე. ისტორიები ხშირად სახალისოა.

როლური თამაში 5

იმისათვის, რომ გააქტიუროთ მოსწავლეთა წარმოსახვით-შემოქმედებითი უნარი, მათ შემდეგი სავარჯიშო შესთავაზეთ. მოთხრობის დასაწყისი დაფაზე დაწერეთ.

„იყო და არა იყო რა. იყო ერთი მოხუცი ქალბატონი, რომელიც ცხოვრობდა უღრან ტყეში, ერთ პატარა კოტეჯში, თავის პატარა შვილიშვილთან ერთად.“

კლასი დაყავით ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს მიეცით სხვადასხვა სახის დავალება.

მცირე რაოდენობის კლასებში, შეიძლება, დავალება მოსწავლეებზე ინდივიდუალურად განაწილდეს.

სტუდენტი 1- აღწერე მოხუცი ქალბატონი
სტუდენტი 2- აღწერე შვილიშვილი
სტუდენტი 3- აღწერე სახლი
სტუდენტი 4- აღწერე ტყე, მცენარეები და ცხოველები
სტუდენტი 5- აღწერე ხმები... რომელიც შეიძლება გაიგონო ტყეში,,

შენიშვნა: მიეცით მოსწავლეებს 10/15 წთ სამუშაოთ და სთხოვეთ სკეჩის სახით ნამუშევრების წარდგენა. მასწავლებლის ფანტაზიითა და კლასის შესაძლებლობების გათვალისწინებით დავალება შეიძლება გაართულოთ.

როლური თამაში 6

შემოგთავაზებთ შემდეგ სიტუაციას:

„ერთ მზიან აპრილის დღეს ანას კარებზე კაკუნი შემოესმა. კარებთან ახალგაზრდა მამაკაცი იდგა.“

- რა როლური თამაში შეიძლება შევთვაზოთ მოსწავლეებს ამ შემთხვევაში?

- **აღწერეთ ახალგაზრდა მამაკაცი. მოიფიქრეთ მისი ვინაობა, პროფესია, წარმომავლობა, როგორ გაჩნდა იგი ამ სახლთან, რატომ აკაკუნებდა ანის კარზე?**

ჯგუფები განავრცობენ, ასრულებენ ამბავს და უკითხავენ ერთმანეთს. შეეცადეთ, ყველა მოსწავლე ჯგუფში ჩართული იყოს დავალების შესრულებისას. შესაძლებლობა მიეცით გამოიყენონ თავიანთი უნარები (დახატონ, მხატვრულად წაიკითხონ დაწერილი ამბავი და ა.შ) სახალისო იქნება თუ მოსწავლეები წარმოადგენენ მათ მიერ შექმნილ ამბავს სკეჩის სახით

თამაში 6

აქტივობა „ამბავი სიტყვებით“

- კლასი დაყავით ჯგუფებად,
- სახელმძღვანელოში განვლილი თემიდან აირჩიეთ 20 ნასწავლი სიტყვა ან საგანი. დაწერეთ ფურ-ცელზე.
- დაურიგეთ ჯგუფებს, დანიშნეთ დრო. მაქსიმალურია 10-15 წუთი.
- წარმოდგენილ დროში ჯგუფებმა უნდა შეადგინონ ამბავი მოცე-მული სტყვების გამოყენებით. განვლილი მასალიდან შეიძლება, ამოარჩიოთ 5 ზმნა, 5 არსებითი სახელი, 5ქვემდებარე, 5 ადგილის გარემოება.

მაგალითად:

მხედარი ძვირფასი ქვა მაიმუნი

გამოქვაბული **კოკა-კოლა** ჯადოსნური ცისფერი მამაცი

შეშინებული გაოცებული **მხდალი** იჯდე **აქლემზე**

გადააქციო დაიმალო მოისროლო **დაბრუნდე** გამოქვაბულთან

ჩრდილში მზის **ჩასვლისა** ხეზე **უდაბნოში**

და ასე შემდეგ..

- მნიშვნელობა არ აქვს დასახელებული სიტყვები რა თანამიმდევრობით იქნება გამოყენებული მოსწავლეების მიერ შეთხზულ ამბავში

- მოთხრობაში ყველა სიტყვა უნდა იყოს გამოყენებული და რადგანაც ბავშვების ფანტაზიას არა აქვს საზღვარი, ის შთამბეჭდავად შეიძლება განივრცოს.

თამაში 7

„იყო და არა იყო რა“

დასვით კითხვა- საიდან იწყება ბავშვის დამეგობრება წიგნთან?

პასუხები შეიძლება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან იყოს დაკავშირებული-**რომანი, დეტექტივი, სათავგადასავლო...** მაგრამ პასუხი ერთია.

ბავშვის წიგნთან დამეგობრება დედის ან ბებიის მიერ წაკითხული ზღაპრით იწყება. ჯერ მშობლები უკითხავენ ჯადოსნურ ისტორიებს ილუსტრირებული,ფერადი წიგნებიდან, შემდეგ თავად ბავშვები იგონებენ თოჯინებთან თამაშის დროს ისტორიებს, მათთვის სასიამოვნო ამბებს და ასე გრძელდება დაუსრულებლად. ძნელად მოიპოვება ჩვენს საზოგადოებაში ისეთი ბავშვი, რომელსაც არ სმენია ამბავი მძინარე მზეთუნახავის, ფიფქიასი და შვიდი ჯუჯის, ონავარი **პინოქიოსი, ნაცარქექიასა და ხუთკუნჭულას დაუჯერებელი თავგადასავალი**.

იმუშავეთ დაფასთან და ჩამოწერეთ ყველა ის საყვარელი ნაწარმოებები, რომელიც მოსწავლეების მეხსიერებაში ამოტივტივდება და ბავშვობის-დროინდელ მოგონებებს აღძრავს

- გაახსენეთ მოსწავლეებს ამ ნაწარმოებების გმირები.
- დაყავით კლასი ჯგუფებად ან წყვილებად.
- ჯგუფები ირჩევენ მათთვის საყვარელ ნაწარმოებს და საუბრობენ ერთმანეთში ამ ნაწარმოების სიუჟეტზე
- მოსწავლეები ჯგუფებში არჩევენ მათი საყვარელი ზღაპრის გმირებს და პერსონაჟებს. აუცილებელია ჯგუფში მომუშავე ყველა მოსწავლე კარგად იცნობდეს ამ გმირს და არჩეულ ზღაპარს.
- ჯგუფები ან წყვილები განიხილავენ და ახსენებენ ერთმანეთს ზღაპრის თანამიმდევრობას.

შემდეგ ხდება ამის წარდგენა-პრეზენტაცია.

ოღონდ აქაც თქვენი სახალისო ჩანაფიქრია- ერთი მოსწავლე კი არ კითხულობს მოცემულ ზღაპარს, თითოეული ჯგუფის წევრი ერთმანეთის მიყოლებით ერთი წინადადებით ყვება მას. ეს მასწავლებელს ეხმარება, ყველა მოსწავლე ჩართოს საგაკვეთილო პროცესში, გაუძლიეროს თვითშეფასება და აგრძნობინოს თავი ჯგუფის სრულუფლებიან წევრად. მაგრამ რა ვუყოთ იმ მოსწავლეს, რომელსაც არა აქვს განვითარებული მოყოლის, გადმოცემის, სწრაფად აზროვნების უნარი. ამ შემთხვევაში დაადგინეთ რა უფრო მეტად ხელეწიფება მას. ვთქვათ, მას ეხერხება ხატვა, თავი რომ არ იგრძნოს ჯგუფიდან გარიყულად, დაახატვინეთ გმირი, სიტუაცია. შემდეგ კი მისი ნახატები გამოფინეთ, რომლებზეც თანაკლასელები სპონტანურად, უფრო მცირე დროში, მოყვებიან ამ სურათების მიხედვით შექმნილ ისტორიას. ასეთ მოსწავლეში ამაღლდება თვითშეფასების გრძნობა, მოსწავლე რწმუნდება, რომ იგი ნაწილია იმ სოციუმისა, რომელშიც იმყოფება და რწმენა საკუთარი თავის მიმართ განუმტკიცდება. მოტივაციაც აუმაღლდება და ბავშვი შემდგომში აქტიურად ჩაერთვება საგაკვეთილო პროცესში, სკაბაასში, განხილვაში.

რა ჰქნან იმ კლასებმა, რომელთაც შერეული ეროვნების მოსწავლეები ჰყავთ?

- დაავალეთ მოსწავლეებს სხვადასხვა სახის პროექტი: ინტერნეტში მათი კულტურისათვის, დამახასიათებელი ზღაპარი ან თქმულება მოიძიონ რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს ილუსტრაციებს და შინაარსი არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს.
- შემდეგ გაკვეთილზე არჩეულ მოთხრობას ან ზღაპარს მოსწავლე გამოფენს და წარადგენს თანაკლასელების წინაშე, კლასს შეუძლია წარდგენილი მასალა წაიკითხოს და წყვილში განიხილონ ერთმანეთთან. წყვილებმა შეიძლება გააკეთონ პრეზენტაცია და, შესაძლოა აგრეთვე მოქმედებებით, პატარა დადგმული სკეჩითაც წარდგნენ თანაკლასელების წინაშე.

შენიშვნა: ასევე ინტერნეტში მოიძიონ ურბანული ლეგენდები ან ხალხური თქმულებები, დამახასიათებელი მათი კულტურისათვის.

თამაში 8

თითქმის ყველა წინა სავარჯიშო დაფუძნებული იყო აღწერაზე, მაგრამ თუ მოსწავლეს არა აქვს განვითარებული უნარი, როგორ აღწეროს ესა თუ ის სიტუაცია **(ადამიანი, გარემო, სახლი, ეზო),** მას დაბრკოლებები შეექმნება. ამიტომ, პატარაობიდანვე უნდა შევეცადოთ პატარ - პატარა სავარჯიშოებით განვუვითაროთ ბავშვებს ეს ჩვევა. ამისათვის გთავაზობთ რამოდენიმე სასარგებლო თამაშს.

1) ადამიანების აღწერა

და რა არის აუცილებელი, რომ ადამიანი სრულყოფილად აღვწეროთ? ერთმანეთის თანამიმდევრობით ჩამოწერეთ სამი სათაური:

1 თმა/სახე

2 აღნაგობა

3) საზოგადო დახასიათება

შემდეგ მოსწავლეებს უკარნახეთ ან დაფაზე ჩამოწერეთ ზედსართავები: მაღალი, სწორი, თხელი, დაბალი, გძელი, ქერა, შავგვრემანი, გონება-მახვილი, ტალღოვანი, ლამაზი, გონიერი, საშუალო სიმაღლის და ასე შემდეგ.



- მიეცით ორი ან სამ წუთი, რომ მოსწავლეებმა დააჯგუფონ ეს სიტყვები მოცემული კატეგორიების მიხედვით.
- წყვილებს მიეცით დავალება აღწერონ ერთმანეთი
- აღწერის დროს კლასში მომუშავე ჯგუფები უსმენენ ერთმანეთს და წყვილების შესახებ დამატებით ინფორმაციას აგროვებენ და აღწერის შემდეგ ამატებენ, რაზედაც დამატებით ქულას იღებენ. შემდეგ
- მოსწავლეებს დაავალეთ ინდივიდუალურად აღწერონ ერთ-ერთი, ნებისმიერი თანაკლასელი, ისე, რომ არ დაასახელონ მისი სახელი. დანარჩენები გამოიცნობენ მათ. სახალისოა, არა?!
- ააგროვეთ აღწერები და წაიკითხეთ მთელი კლასის წინაშე. ის, ვინც გამოიცნობს ვისზეა საუბარი, ჯილდოვდება საჩუქრით. დააკვრდით, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს მონაწილეობა. შეიძლება, სუსტი მოს-წავლე შეაწყვილოთ ძლიერთან, რათა არ გაუჭირდეს დავალების შესრულება.

აქტივობა 9
„აბა გამოიცანი“

ამ თამაშისათვის შეიძლება, გამოიყენოთ საკუთარი ჩანთა ან აკრიფოთ საკლასო ნივთები.

- თუ ეს თქვენი ჩანთაა, მოათავსეთ ის მაგიდაზე და უთხარით მოსწავლეებს, რომ აპირებთ მასში მოთავსებული ნივთების დახასიათებას, მათ კი, უნდა გამოიცნონ და დაასახელონ ეს საგანი.
- ჩაყავით ხელი ჩანთაში და ამოირჩიეთ საგანი. აღუწერეთ ის კლასს, მიაწოდეთ რაც შეიძლება მეტი ზედსართავი. **მაგ. ის არის რბილი, ფუმფულა, ღუნღულა, მსუბუქი, პატარა.** თუ ვერ გამოიცნეს, რომელიმე მოსწავლე ჩანთასთან მიიპატიჟეთ. მან უნდა შეძლოს დაახასიათოს ჩანთაში მოთავსებული საგანი გაიმეოროს ყველა დასახელებული ზედსართავი და დაამატოს ერთი ზედსართავი ამ საგნის ასაღწერად .თუ მოსწავლე ამას ვერ შეძლებს, წაგებულია და ნივთს აჩვენებს კლასს.
- დაავალეთ წყვილებს აირჩიონ ყოველდღიური მოხმარების საგნები, დაახასიათონ ისინი ზომის, სტრუქტურის, ფერის, ღირებულების, გამოყენების სიხშირის მიხედვით. დავალებას შეიძლება მისცეთ შეჯიბრის სახე.

ეს თამაში შეძლება გავართულოთ. ამ შემთხვევაში მონაწილე შეიძლება იყოს მასწავლებელი ან ინდივიდუალურად თითოეული მოსწავლე.

თამაში 10

- სცადეთ თამაში მიმიკით/პანტომიმით. უთხარით მოსწავლეებს, რომ აპირებთ თითოეულ მათგანს მოძრაობით „მიაწოდოთ“ რაიმე წარმოსახვითი საგანი. თქვენი პანტომიმით მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რა საგანია ეს და რა დანიშნულება აქვს ან რისთვის გამოიყენება ის. ეს შეიძლება იყოს: **აგური, პეპელა, ღვინის ბოთლი, ყვავილების თაიგული, გასარეცხი წინდა, ჩემოდანი, უხსენებელი და ა.შ...**

- ამ დავალებას ის უპირატესობა აქვს რომ კლასის ყველა მოსწავლე (სუსტიც კი შეიძლება აქტიურად ჩართოთ საგაკვეთილო პროცესში)

შემოგთავაზებთ იგივე სავარჯიშოს ახალ ვარიანტს.

- შეგიძლიათ, დასვათ მოსწავლე ზურგით დაფისკენ. დაწერეთ დაფაზე სიტყვა. თავიდან ამოარჩიეთ მოხალისე, რომელიც მხოლოდ ხელების გამოყენებით ახსნის ჟესტების ენაზე საგნის ზომას, ფორმას, დანიშნულებას. არ დაგავიწყდეთ, რომ მოსწავლემ უნდა გამოიყენოს მხოლოდ ხელები. მაგ: **როგორ შეიძლება ახსნან „CD პლეიერი". ის არის დიდი, ოთხკუთხედი, ზოგჯერ მრგვალი, აქვს ღილაკები, მასში იდება საგანი, რომელიც გამოსცემს მუსიკალურ ბგერებს. შეუძლებელია? სცადეთ.**

აქტივობა 1 შეიძლება, დავალება კიდევ უფრო გავართულოთ.

- კლასი გაყავით 2 ჯგუფად და მიეცით შემდეგი დავალება
- დაფასთან მჯდომ მოსწავლეს თავისივე გუნდის წევრმა ვერბალურად აუხსნას მოწინააღმდეგე ჯგუფის მიერ წარდგენილი სიტყვა მიმიკით.

შემოგთავაზებთ სიტყვათა ნუსხას.

მაგ: საზამთრო, სატელეფონო ჯიხური, სათვალე, პირსახოცი, საცურაო კოსტუმი და ასე შემდეგ.

აქტივობა 2 შემოგთავაზებთ თამაშის სხვა ვარიანტს

- დააყენეთ წყვილები ერთმანეთის პირისპირ. თვლაზე: ერთი, ორი, სამი, თქვენ-მასწავლებელმა რიგრიგობით დაასახელეთ სიტყვა. მაგალითად:

ბოქსიორი, მკვლევარი, გენერალი, ანგელოზი, ფილოსოფოსი, დიქტატორი, მონადირე, სუპერმოდელი, ბეთმენი და ასე შემდეგ..

- მოსწავლეები ასახიერებენ მასწავლებლის მიერ წარმოთქმულ სიტყვას თანამიმდევრობით.
- იგივე სავარჯიშოები შეიძლება გაკეთდეს ჯგუფშიც.

აქტივობა 3 კლასი გაყავით სამ ჯგუფად. თითოეული ჯგუფიდან დაფასთან
გამოიყვანეთ თითო-თითო მოსწავლე,

- პირველი და მეორე ჯგუფის წარმომადგენლები დააყენეთ ერთმანეთთან ზურგით
- ზემოთ დასახელებული სიტყვებიდან აირჩიეთ ერთი სიტყვა და უჩურჩულეთ ჯგუფის ერთ წარმომადგენელს. რომელიც მოქმედებით განასახიერებს ამ სიტყვას
- მესამე ჯგუფის წარმომადგენელი უხსნის მეორე ჯგუფის წევრს, თუ რა პოზაშია და რომელ მოძრაობას ასრულებს უცნაურ მდგომარეობაში მყოფი პირველი ჯგუფის წევრი. ეს კარგი სავარჯიშოა ლექსიკის გასააქტიურებლად .

აქტივობა 11

შემოგთავაზებთ თამაშებს, რომლებიც დაგეხმარებათ უფრო აქტიურად, საინტერესოდ წარმართოთ გაკვეთილები და მოსწავლეებს შორის საგნისადმი ინტერესი გაზარდოთ.

თამაში-ბრძოლა გადარჩენისთვის

მესიჯი ბოთლში

აქტივობა 1 თამაში შედგება რამოდენიმე ეტაპისგან. მივყვეთ თანამიმდევრობას.

დარწმუნებული ვარ ყველას ახსოვს ამბავი რობიზონ კრუზოზე ან თუ წაკითხული არ აქვს სულ მცირე ფილმი მაინც აქვს ნანახი.

- ფილმის ან გმირის ამბავთან დაკავშირებით მოაგროვეთ მოსწავლეებს შორის დეტალები. ანუ აკეთებთ ჩვეულებრი ბრეინსტორმინგს მოკლედ აგროვებთ რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას.მასწავლებელი შეიძლება დაეხმაროს კითხვებითაც რათა მიიღოს მეტი ინფორმაცია

ვინ იყო რობინზონი? ვინ არის ამ ნაწარმოების ავტორი?როგორ მოხვდა იგი კუნძულზე? როგორ გამოიყურებოდა მისი მეგობარი პარასკევა? რამდენი წელი დაყო მან კუნძულზე? და ა.შ

- შეიძლება წყვილებში ამუშაოთ მოსწავლეები და სთხოვოთ გაიხსენონ რაც შეიძლება მეტი დეტალები ნაწარმოებიდან.

მოსწავლეები წყვილებად საუბრობენ ამ ნაწარმოებზე და ერთმანეთს ახსენებენ მათთვის საყვარელ ეპიზოდებს. შემდეგ

აქტივობა 2 დასვით კითხვა-რა იცით ნავიგაციისა და გემების შესახებ? წარმოგიდგენიათ თუ არა როგორია ეკიპაჟის ყოველდღიური ცხოვრება დიდ სამგზავრო ლაინერზე?

- დაეხმარეთ მოსწავლეებს და მიუთითეთ იმ საკითხებზე, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილონ დისკუსიის დროს: **გემის კაპიტანი, შტურმანი, (როგორ გამოიყურებიან ისინი, რა აცვიათ, რა არის მათი მოვალეობები,) მძიმეა თუ არა ეკიპაჟის წევრთა დღის რეჟიმი გემზე, რა სასჯელის ფორმები არსებობს წესრიგის დამრღვევების მიმართ, როგორია გემის და ეკიპაჟის აღჭურვილობა, რამდენად მაღალია საშიშროებისა და რისკის ფაქტორი.**



შენიშვნა: თუ ჯგუფი ძლიერია, შეიძლება, სავარჯიშო გაართულოთ.

- შეადარებინეთ თანამედროვე და სააუკუნეების წინანდელი სანაოსნო-საზღვაო ფლოტი თანამედროვე იახტებთან და საზღვაო მოგზაურობებთან და ასაუბრეთ მათ შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებზე.
- ეს უკანასკნელი შეიძლება პროექტის სახითაც მისცეთ ჯგუფებს გასაკეთებლად

შენიშვნა: იქ სადაც კლასი ძლიერი შეიძლება დავალებად მისცეთ მოსწავლეებს სკეჩის სახით წარმოადგინონ მათი წარმოსახვით დანახული ერთი დღე გემზე. ან შექმნან სცენა სადაც გემის ეკიპაჟს მძევლად იყვანს მეკობრეთა შეიარაღებული გემი

აქტივობა 12
თამაში

მოსწავლეებს მიეცით შემდეგი სახის ინსტრუქცია

- წარმოიდგინეთ, რომ გემი ჩაიძირა და თქვენ აღმოჩნდით უკაცრიელ კუნძულზე.
- ამოარჩიეთ გემზე გადარჩენილი ნივთებიდან ათი საგანი, რომელსაც გამოიყენებთ საგანგებო სიტუაციებში თავის გადასარჩენად.
- თითოეული ჯგუფი ადგენს თავის სიას, რომელზეც ერთმანეთში არგუმენტირებულად მსჯელობენ. ადგენენ რომელი ნივთია მათთვის ყველაზე აუცილებელი და რატომ? **(არგუმენტირება აუცილებელია)**



შენიშვნა: დავალების გასართულებლად ჯგუფებმა წარმოადგინონ ერთი დღე კუნძულზე ცხოვრებიდან.

აქტივობა 13 ლოგიკური გაგრძელებაა აქტივობა 12-ის.

- დაფაზე დახატეთ სურათი მოტივტივე ბოთლის, რომელშიც ჩამაგრებულია ქაღალდის გრაგნილი.

- მოსწავლეებს შეახსენეთ, რომ ეს გრაგნილი რაღაც ამბავს სთავაზობთ და თითუეულ ჯგუფს და მათში მომუშავე მოსწავლეებს შეუძლიათ, შეთხზან საინტერესო ისტორიები, რომელიც უკაცრიელ კუნძულთან და სასიცოცხლო პირობებისათვის ბრძოლასთან იქნება დაკავშირებული.

- მოსწავლეთა წასახალისებლად მასწავლებელმა შეიძლება, თვითონ წარადგინოს შემდეგი შინაარსის გრაგნილი:

„ლონდონი 1757 წლის ივნისში დავტოვეთ, საშინელი ქარბორბალაა. წყნარი ოკეანის სამხრეთით. არავინ გადარჩენილა, მხოლოდ მე და კატა. ვიპოვნე ანანასი...

- კლასს დაუსვით კითხვა-წარმოიდგინეთ, რომ შუა ოკეანეში მოტივტივე ნავში სხედხართ. როგორ გადაირჩენთ თავს?
- თითოეული მოსწავლისგან დაელოდეთ შესაძლო მოფიქრებულ ვარიანტს. მაგალითად:

მოსწავლის ყველა პასუხი მისაღებია და გასათვალისწინებელი.

აქტივობა 13
თამაში

მოსწავლეებს მიეცით შემდეგი სახის დავალება.

- მრავალფეროვნებისთვის ჯგუფებს შესთავაზეთ თვითმფრინავის საავარიო დაშვების სხვადასხვა ადგილი:

- წარმოიდგინეთ, რომ თქვენმა თვითმფრინავმა ავიაკატასტროფა განიცადა, **საბედნიეროდ, მას ცეცხლი არ გაუჩნდა, მაგრამ აღარც შეკეთდება.. ახლოს დასახლებული პუნქტი არსად ჩანს, ერთ-ერთ თქვენგანს ფეხი აქვს მოტეხილი. არიან დაშავებულები**

- თხოვეთ ჯგუფებს დაადგინონ დისლოკაციის ადგილი, გამოიკვლიონ გარემო, განიხილონ გადაადგილების გეგმა და მასთან დაკავშირებული დღის რეჟიმი, იმსჯელონ თუ როგორ გადაიყვანენ და დაეხმარებიან დაზარალებულებს, საკვებს რა გზით მოიპოვებენ, რანაირად დააღწევენ თავს ჩასაფრებულ,მოსალოდნელ ხიფათს.

- ჯგუფებს მიეცით დავალება მოიფიქრონ ზემოთ ჩამოთვლილი სქემის მიხედვით გადარჩენის საუკეთესო გეგმა სხვადასხვა სიტუაციებში

- პირველი ჯგუფი - წარმოიდგინეთ ჩამოვარდით სახარის უდაბნოში

- მეორე ჯგუფი – ამაზონის ჯუნგლებში

- ხოლო მესამე - ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში.

- დავალების დასრულების შემდეგ სთხოვეთ ჯგუფებს ერთმანეთში გაცვალონ თავიანთი ნაწერები, განიხილონ მოწინააღმდეგე ჯგუფების მიერ გეგმასთან დაკავშირებით შესაძლო დაშვებული პრობლემები

- ჩატარებული სამუშაოს შემდეგ ჯგუფებს შეუძლიათ ერთმანეთს დაუსვან კითხვები, იმსჯელონ და დაადგინონ დეტალები, გამოთქვან თავიანთ აზრი თუ როგორ შეძლებდნენ ამ სიტუაციასთან უკეთესად გამკლავებას.

თამაში - 14
დიდი გაქცევა...



- კლასს გაყოფთ ჯგუფებად.
- დაავალეთ ჯგუფებს გააკეთონ, ოჰაიოს შტატის ციხის დიზაინი. ამ ციხიდან თითქმის შეუძებელია გაქცევა.. (მითითება: გაიხსენეთ ფილმი „გაქცევა“).
- მიუთითეთ მოსწავლეებს რომ მათი საუბარი უნდა **მოიცავდეს ციხის შენობის დიზაინის სრულ აღწერას. აღნიშნული უნდა იყოს რომელ სართულზე რა არის განლაგებული, სად არის შესასვლელი და გასასვლელი.**

- **როგორია პატიმრების ყოველდღიური საქმინობა, რომელ საათზე იძინებენ და იღვიძებენ ისინი, რა უფლებები აქვთ მსჯავრდადებულებს, რა შეუძლიათ გააკეთონ და რა არა , როგორია მათი დასჯის ფორმები, ბადრაგი როდის იცვლება, შუქი როდის ქრება და ა.შ.**

- ამ დავალების შესასრულებლად დრო სულ რაღაც 15 წუთი მიეცით.

  აქტივობა 1 ამ დროის განმავლობაში მოსწავლეები შეეცდებიან ისაუბრონ მოცემული დავალებაზე მეწყვილეებთან.

  აქტივობა 2 წყვილებში ან თუ ჯგუფები გეყოლებათ-ჯგუფებში, შესაძლებელია მეწყვილეებმა ან ჯგუფებმა გაცვალონ ნაშრომები და განიხილონ თუ რამდენად რეალურია წარდგენილი სიტუაციები.

აქტივობა 3 შესაძლებელია, ჯგუფები ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ და ისაუბრონ ამის შესახებ.

ეს სამუშაო შეიძლება შემდეგნაირადაც ააწყოთ: გამოიყენეთ როლური თამაში.

- პირველი და მეორე ჯგუფიდან თითო-თითო ბავშვი გამოიძახეთ და პაემანი გაათამაშებინეთ.
- სტუდენტი „ე“ არის ტუსაღი, სტუდენტი „გ“ არის ვიზიტორი, რომელიც აპირებს პატიმარს დაეხმაროს ციხიდან გაქცევაში. და ამისთვის უჩვენებს

მას გეგმას, სათადარიგო გასასვლელებს, ბადრაგის ცვლის განრიგს, აზუსტებს გაქცევის დეტალებს და თუ რა დახმარება შეიძლება დასჭირდეს მას გაქცევის მომენტში.

შენიშვნა: პროექტის სახით მიეცით მოსწავლეებს დავალება თემასთან „ბუნებრივი კატაკლიზმები“, „საგანგებო სიტუაციები“ - დაკავშირებით ინტერნეტში მოიძიონ რჩევები და რეკომენდაციები. ისაუბრონ კონკრეტულ მაგალითებზე და გააკეთონ პრეზენტაციები შემდეგ გაკვეთილზე წყვილებში ან ჯგუფებში.

თემა - ტელევიზია

მოსწავლეებისათვის ეს ყველაზე საყვარელი თემაა. გთავაზობთ რამოდენიმე თამაშს ამასთან დაკავშირებით.

თამაში 15

- სთხოვეთ მოსწავლეებს ერთი წუთის განმავლობაში ფურცელზე ან რვეულში ინდივიდუალურად გაიხსენონ და ჩამოწერონ სია მათთვის საყვარელი სატელევიზიო არხების, ან იმ სატელევიზიო გადაცემების, რომლებიც მათი ქვეყნის ტელე-ეთერში გადის.. ეს გადაცემები შეიძლება იყოს : **ახალი ამბები, ტელესერიალები, სპორტული, ისტორიული, მუსიკალური გადაცემები, ვიქტორინები, თოქშოუები, ამინდის პროგნოზი, მხატვრული ფილმები, მულტფილმები...**

- **დანომრეთ** ეს სია ყველაზე რეიტინგული გადაცემიდან- ქვემოთ, ნაკლებად რეიტინგულისაკენ.
- ამუშავეთ მოსწავლეები წყვილებში და სთხოვეთ გაეცნონ ერთმანეთს ეს თანამიმდევრობა.

- მოსწავლეები ერთმანეთში მსჯელობენ, თუ რატომ მიანიჭეს უპირატესობა ამა თუ იმ პროგრამას, შეიძლება, გადანაწილდნენ სხვა ჯგუფებში და განიხილონ თავიანთი შეხედულებები, გაიაზრონ ერთმანეთის მიერ წარმოდგენილი არხის სპეციფიკა.
- აქტიურ მოსწავლეს შეუძლია აღწეროს მისი არჩეული პროგრამა და წარმოადგინოს კლასის წინაშე.

შენიშვნა: იმისთვის რომ განხილვაში დაეხმაროთ მოსწავლეებს დასვით ზოგადი სახის კითხვები ან მარტივად დასვით კითხვა: „გადის ინგლისურენოვანი_ რაიმე პროგრამა თქვენი ქვეყნის ტელესივრცეში თუ არა. ისინი გახმოვანებულია თუ სუბტიტრებით გადაიცემა ? მოსწავლეები ფიქრობენ ამას წყვილებში, ასახელებენ ამა თუ იმ პროგრამას, დეტალურად განიხილავენ და აღწერენ მას.

თამაში-კვლევა 16

- მოსწავლეებთან ერთად დაწერეთ 10 ან მეტი დამახასიათებელი შეკითხვა ტელევიზიის სპეციფიკის შესახებ. დრო ამ დავალებისათვის 10 წუთია.

- სტუდენტებმა ამ პერიოდში უნდა მოახერხონ ყველა თანაკლასელს დაუსვან დაფაზე ჩამოწერილი კითხვები და მიიღონ შესატყვისი პასუხები.

- შემდეგ წყვილები, კვლევის შედეგებს კიდევ ერთხელ აჯერებენ ერთმანეთში, ინიშნავენ პასუხებს, აჯამებენ მათ და საბოლოო შედეგებს წარუდგენენ მასწავლებელს.

- შეაგროვეთ სტატისტიკური მონაცემები და გამოიყვანეთ საბოლოო შედეგები.

გთავაზობთ კითხვათა მრავალფეროვნებას:

1) არის თუ არა ერთზე მეტი ტელევიზორი თქვენს ოჯახში?
2) ისურვებდი ცხოვრებას ტელევიზორის გარეშე?
3) კვირაში რამდენ საათს უთმობ ტელევიზორს?
4) უყურებთ მელოდრამებს, სერიალებს თუ სხვას... დაასახელეთ რომელს.
5) რამდენად ხშირად უყურებთ ინგლისურ ენოვან პროგრამებს?
6) უყურებთ სპორტულ არხებს თუ არა?
7) რომელია შენი საყვარელი სატელევიზიო პროგრამა?
8) უყურებთ პროგრამებს გარე სამყაროზე ?
9) ტელევიზია ასახავს და პროპაგანდას უწევს ძალადობას თუ არა?
10) ტოვებთ ტელევიზორს ჩართულს მაშინაც კი, როცა არ უყურებთ?
11) საჭიროა ამდენი რეკლამა თუ არა?
12) უყურებთ ყოველ დღე ახალ ამბებს? და ა.შ



შენიშვნა: მაგალითად სტატისტიკა კითხვაზე- არის თუ არა ერთზე მეტი ტელევიზორი თქვენს ოჯახში-შეჯამების სახით, შეიძლება, გამოიყურებოდეს ასე: კლასიდან ხუთ ბავშვს აქვს ერთ ტელევიორზე მეტი, ესე იგი, მოსწავლეების 20%-ს სახლში ყველა ოთახში აქვს ტელევიზორი და ასე შემდეგ. შეიძლება შეადგინოთ სქემა ან ჩარტი.

პროექტი

- დაავალეთ მოსწავლეებს, შემდეგ გაკვეთილზე სატელევიზიო არხების საგაზეთო პროგრამა მოიტანონ.
- დაყავით კლასი პატარა ჯგუფებად. დაავალეთ ჯგუფის წევრებს წაიკითხონ პროგრამა, განიხილონ და ისაუბრონ მათ მიერ არჩეულ სატელევიზიო გადაცემაზე, დაახასიათონ გადაცემა , ისაუბრონ მასში წამოჭრილ საკითხებზე, დაახასიათონ გადაცემის შესაძლო დადებით და უარყოფით მხარეები.

სატელევიზიო-რეკლამები

დაასახელებინეთ მოსწავლეებს მათი საყვარელი სატელევიზიო რეკლამა.

ჰკითხეთ, რამდენად დამოკიდებულები არიან რეკლამაზე, და გაარკვიეთ მიზეზი რატომ ?

პატარა ჯგუფებს მიეცით დავალება **წარმოიდგინონ,** რომ სარეკლამო სააგენტოში მუშაობენ და სთხოვეთ, ერთ-ერთი პროდუქციის დიზაინი წარმოადგინონ.

ეს პროდუქტებია: შამპუნი, სუნამო, მაღალი ალკოჰოლური შემცველობის ლუდი, ნატურალური კარაქი, მოდური ჯინსი, ნაოჭ-საწინააღმდეგო კრემი, გაზონის გასაკრეჭი მანქანა და ასე შემდეგ.

- ჯგუფებმა უნდა შექმნან შთაბეჭდილება, რომ კლასის დარჩენილი ნაწილი მათი კლიენტია , აჩვენონ მათ მიერ არჩეული პროდუქტის დიზაინი , სარეკლამო კამპანია აღწერონ და შეეცადონ დაარწმუნონ კლიენტი მათი პროდუქტის ხარისხში, დიზაინის აქტუალობასა და სილამაზეში, და მაღალ რეიტინგულობა/მოთხოვნადობაში.

თემა - დრო

აქტივობა 1 ეს სავარჯიშო მოიცავს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ინტერაქტიურ – გამოკითხვას და კითხვები ჟღერს შემდეგნაირად:.

1) კლასში ვინ არის ყველაზე პუნქტუალური სტუდენტი?
2) რამდენი თქვენგანი იყენებს კალენდარს და რისთვის?
3) მაჯის საათს რამდენ თქვენგანი ატარებს?
4) საათზე რამდენად ხშირად იყურებით?
5) დროის უქმად ხარჯვად რა მიგაჩნიათ?
6) რას ნიშნავს თავისუფალი დრო თქვენთვის ?

ამ სავარჯიშოს, შესაძლოა, ჰქონდეს გონებრივი იერიშის დატვირთვა და სასურველია წყვილებმა ან ჯგუფებმა განიხილონ.

აქტივობა

კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად მიაწოდეთ მოსწავლეებს ცნობილი გამონათქვამები ანდა ანდაზები განხილვისათვის. ამ ნაწილში ვსაუბრობთ დროზე და მასთან დაკავშირებულ აქტივობებზე. გთავაზობთ რამოდენიმე გამონათქვამს.

„ დრო ყველაფრის მკურნალია“
„დრო ფულია“
„დრო სწრაფად გარბის“
„დროს უნდა დაელოდო“
„დროს არ უნდა გაუსწრო“
„დრო ფიქრია“

- მოსწავლეები წყვილებში საუბრობენ, უსმენენ ერთმანეთს, თავიანთ აზრს გამოთქვამენ ამ ანდაზებთან, ბრძნულ გამონათქვამებთან დაკავშირებით და კამათობენ. კამათი ბადებს ჭეშმარიტ აზრს.

აქტივობა 3 პატარა ჯგუფები მსჯელობენ, როდის არის შესაფერისი დრო:

1) გათხოვებისთვის
2) პენსიაზე გასვლისთვის
3) შვილების ყოლისთვის
4) დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის
5) მოგზაურობისთვის

შენიშვნა: მიეცით დავალება , რომ თითოეულმა მათგანმა ინდივიდუალურად, დახატოს გრაფიკულად საკუთარი ცხოვრება, მაგალითად 10-15 წლამდე, ან 2000-2020. გრაფიკულ სქემაში გამავალი ხაზი უნდა აჩვენებდეს ცხოვრების აღმავალ-საუკეთესო პერიოდებს და დაღმავალ- უიღბლო წლებსაც.. წყვილები სქემის მიხედვით იხსენებენ და საუბრობენ მათი ცხოვრების ბედნიერ და უბედურ ხანებზე.

აქტივობა 4

მასწავლებლის დრო

ეს სავარჯიშო ყველაზე სახალისოა მოსწავლეთათვის და ხელს უწყობს მეგობრული ატმოსფეროს შექმნას საგაკვეთილო პროცესსა და შემდგომ ურთიერთობებში. რადგანაც მოსწავლეებს შეუძლიათ მასწავლებლის ცხოვრების შესახებ გამოარკვიონ მათთვის საინტ-ერესო ნიუანსები. ეს, სავარჯიშო დაკავშირებულია ისევ დროსთან, რადგანაც გაკვეთილის თემა არის „დრო“.

ტრანსპორტი

აქტივობა 1

- ამ თემის საწყის ეტაპზე, სასურველია, გამოიყენოთ გონებრივი იერიშის ხერხი/მეთოდი
- გაახსენეთ მოსწავლეებს ტრანსპორტის ყველა ტიპი: ველოსიპედი, ტრამვაი, მატარებელი,ცხენი, საჰაერო ბუშტი და ა.შ.

აქტივობა 2 დასახელებული სატრანსპორტო საშუალებები გარკვეული კატეგორიების მიხედვით დაახარისხებინეთ. **მაგ: სწრაფი, კომფორტული, ყველაზე ძვირი, ყველაზე სასარგებლო და ა.შ მოსწავლემ ნებისმიერი აზრი უნდა დაასაბუთოს..**

სწრაფი	კომფორტული	ყველაზე ძვირი	სასარგებლო

აქტივობა 3 შესთავაზეთ რაიმე ფრაზით დაახასიათონ თვითოეული სატ-რანსპორტო საშუალება. აღნიშნონ მისი სიჩქარე, ზომა, კომფორტულობა, რისკი, უსაფრთხოობა. გამოიყენონ ზმნა, ზედსართავი და ა.შ.. **მაგ. ველოსიპედი - არის იაფი, ცუდ ამინდში ოდნავ მოუხერხებელი, ავტობანებზე საშიში, თუმცა ეკოლოგიურად უსაფრთხო.**

აქტივობა 4 წყვილებმში მოსწავლეები ასაუბრეთ იმ სატრანსპორტო საშუალებებზე რომლით მოგზაურობაც მათთვის ყველაზე მისაღები და სასურველია.

აქტივობა 5 ჯგუფებში ამუშავეთ მოსწავლეები და დაავალეთ ერთმანეთს მოუყვნენ და გაუზიარონ შთაბეჭდილება ყველაზე უჩვეულო მოგზაურობაზე. რომელიც გამოუცდიათ ან ისურვებდნენ რომ მომავალში ქონდეთ.

შენიშვნა: შეიძლება, გამოვიყენოთ თამაში, "აბა გამოიცანი", რომელშიც კლასის თითოეული მოსწავლე დაახასიათებს ამა თუ იმ სატრანსპორტო საშუალებას. (რათქმაუნდა თუ კლასი მრავალრიცხოვანი არაა) ის, ვინც გამოიცნობს, არის გამარჯვებული და იღებს შესაბამის ქულას.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი

- ამსჯელეთ მოსწავლეები,როგორია საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა მათ ქვეყანაში?
- გაარკვიეთ მოსწავლის აზრით რა უპირატესობა აქვს მგზავრობას ავტობუსით, ტაქსით, ველოსიპედით.

შეგიძლიათ გაართულოთ დავალება.

- ჯგუფების დავალებაა-წარმოიდგინონ ცხოვრება ურბანულ ქალაქებში განიხილონ, პრობლემები გამონაბოლქვთან, ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებით და იმსჯელონ რამდენად მოსახერხებლად და სავალ-დებულოდ მიაჩნიათ გადაადგილება საზოგადოებრივი ტრანს-პორტით ან ველოსიპედით.
- შემდეგი აქტივობა შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც როლური თამაში, სასურველია, მოსწავლეებმა მოაწყონ აქცია, რომლის დროსაც თავისუფლად გამოთქვამენ აზრს ზემოთ აღნიშნულ საკითხზე და გააკეთონ რეკლამა, რომლითაც მოსახლეობას გაამხნევებენ და უბიძგებენ საკუთარი ავტომანქანებიდან საზოგადოებრივ ტრანს-პორტზე გადავიდნენ.

- **აქტივობა-მოგზაურობა**

- პატარა ჯგუფებში ან წყვილებში მოსწავლეები ასაუბრეთ მათ ბოლო მოგზაურობაზე.
- ყურადღება ისეთ საკითხებზე გაამახვილებინეთ, როგორიცაა:

როგორ დაგეგმეს ეს მოგზაურობა, რითი გაემგზავრნენ, რა ნახეს საინტერესო და რამ მოახდინა მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება, რის ნახვას ელოდნენ და რამ გაუცრუათ იმედები, რა იყო მათთვის კულ-ტურული შოკი, რას შეეგუენ, ვის დაუმეგობრდნენ...

- გაართულეთ დავალება. კლასის წინაშე წინასწარ ჩამოაყალიბეთ კითხვები და სავარაუდო პასუხები, რა დიალოგი შეიძლება გაიმართოს საბაჟოს ოფიცერსა და მგზავრს შორის.
- გაითამაშეთ სცენა.

აქტივობა-ავტომანქანა



- უთხარით მოსწავლეებს, რომ დავალების შესასრულებლად მათ დაჭირდებათ ფურცელი, ან რვეული,ფერადი ფანქრები.
- მათ უნდა წყვილში ან ჯგუფში დახატონ მათთვის სასურველი მანქანა და მოიფიქრონ სცენარი მათი მანქანით მოგზაურობის შესახებ და წარმოადგინონ ის.
- თქვენ-მასწავლებელი განსაზღვრული დროის შემდეგ ააგროვებთ ნამუშევრებს და კლასის წინაშე გამოფენთ ნახატებს, ან წაიკითხავთ აღწერილ სატრანსპორტო საშუალებას. ბავშვები იცნობენ, თითოეულმა მათგანმა რომელი მანქანა აღწერა.

შენიშვნა: ჯგუფებში ან წყვილებში ყველაზე დასამახსოვრებელ მანქანით მოგზაურობაზე ისაუბრეთ.



თემა--სამუშაო



აქტივობა 1 მოსწავლეებზე გონებრივი იერიში მოახდინეთ და სთხოვეთ დაასახელონ პროფესიები, შესაძლებელი საქმიანობები.

- დაახარისხებინეთ წყვილებში ისინი შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

საუკეთესო/ყველაზე ცუდი/ყველაზე საინტერესო/ყველაზე საშიში საქმიანობა თქვენს ქვეყანაში და მსოფლიოში.

- წყვილები ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს უზიარებენ
- ჯგუფში მომუშავე მოსწავლეებმა სამუშაოს დახასიათებისას ყურადღება უნდა მიაქციონ შემდეგ ასპექტებს:



რა მოვალეობები ეკისრებათ ადამიანებს დასაქმების ამა თუ იმ სფეროში?
როგორია ანაზღაურება, არსებობს თუ არა დაზღვევა?
რამდენ საათიანია სამუშაო დღე?
საჭიროა თუ არა ამ პოზიციაზე სამუშაო გამოცდილება?
როგორია დაწინაურების პერსპექტივა?
რამდენად პასუხისმგებელია, მეგობრულია თუ მკაცრია უფროსი?
არსებობს თუ არა უსაფრთხოების ნორმები და ა.შ.

- მე, როგორც მასწავლებელს იმისათვის, რომ წაავახალისო მოსწავ-ლეები, ვთხოვ მათ, მოიფიქრონ კითხვები ან გამოიყენონ ზემოთ ჩამოთვლილი კითხვები მაგალითისთვის და შეაგროვონ პასუხები ჩემს შესახებ . პასუხს ვცემ იმ შემთხვევაში, თუ კითხვა სტრუქტურულად და გრამატიკულად სწორად იქნება დასმული.

ხართ თუ არა ვერქაჰოლიკი?	რა დროს ატარებთ სამუშაო მაგიდასთან?	როგორია დასაქმებულობის კოეფიციენტი თქვენს ქვეყანაში?
ახდენს თუ არა გლობალიზაცია ეფექტს დასაქმების მაჩვენებელზე თქვენს სახელმწიფოში? და ა.შ.		

შენიშვნა: შემდეგ შესთავაზეთ მოსწავლეებს, გააკეთონ კვლევა სამუშაო ბაზარზე. ამისთვის დაიხმარეთ ზემოთ ჩამოთვლილი კითხვები:

თემა--ფუნქციები

- ასაუბრეთ მოსწავლეები თემაზე--თქვენი შესაძლებლობები არსებულ რეალობაში. **რა შემიძლია-რა არ შემიძლია?**
- მიეცით მოსწავლეებს დავალება იმოძრაონ საკლასო ოთახში და გაარკვიონ თანაკლასელების რა ნაწილს შეუძლია ან არ შეუძლია ამა თუ იმ მოქმედების შესრულება. **მაგ; ფრანგულად ლაპარაკი, ცურვა, მანქანის მართვა, ხატვა, ჭადრაკის თამაში, ცხენით ჯირითი, თავ-დაყირა სიარული, საჭმლის მომზადება, ქსოვა/კერვა, თვალების დაე-ლმება და ისე სიარული და ა.შ.**
- შეიძლება მოსწავლეებმა ინდივიდუალურად შეასრულონ ეს დავალება და წარმოიდგინონ, რისი კეთება შეუძლიათ და რისი არა და პასუხები კლასის წინაშე წაიკითხონ.

ეს სავარჯიშო ხელს უწყობს კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას.

აქტივობა - რაღაც განსაკუთრებული

- სასაუბროდ მიეცით მოსწავლეებს შემდეგი საკითხი: **რა არის ის ჩვევა-უნარი, რომელსაც სუპერმენი ფლობს?**
- გაიხსენონ იცნობენ თუ არა ადამიანს, რომელიც მრავალმხრივ განვითარებულია,

დაასახელონ ის თვისებები, რომლებიც ამ ადამიანში დასაფასებელია, ახსენით რატომ?

აქტივობა- აწმყო და წარსული უნარები

- მიეცით დავალება წყვილებში ჩამოთვალონ ის საქმიანობები რომელთაც ადამიანები 100 წლის წინ ვერ ასრულებდნენ/ან ასრულებდნენ და შეადარონ აწმყოს.
- ასევე, წყვილებში იმაზე ასაუბრეთ, ადრეულ ასაკში რისი გაკეთება შეეძლოთ და აწმყოსგან რა განსხვავებით. მაგ; როცა ვიყავი 5 წლის, შემეძლო ველოსიპედით სიარული, მაგრამ ახლა მანქანას ვატარებ და ა.შ.

აქტივობა - ისევ წყვილები

ამჯერად მოსწავლეები ისაუბრებენ იმაზე, რისი გაკეთება შეეძლებათ ადამიანებს მომავალში და ისევ შეადარებენ აწმყოს სიტუაციას. მაგ; ვფიქრობ, ადამიანები ცაშიმანქანებით გადაადგილებას მოახერხებენ. იგივე წყვილებში, ან ჯგუფებში მოსწავლეები ამუშავეთ და სთხოვეთ, წარსულიდან ან მომავლიდან შეთხზან ამბავი, რომელშიც მიცემულ საკითხთან დაკავშირებულ ყველა ნასწავლ ლექსიკურ ერთეულს გამოიყენებენ.

თემა - რჩევები

პატარა ჯგუფები განიხილავენ სხვადასხვა სიტუაციებს და ერთმანეთს რიგრიგობით აძლევენ რჩევებს.იყენებენ სიტყვებსს: „კარგი იქნებოდა თუ“, „შენ ადგილას რომ ვიყო“, „უმჯობესია“ და ასე შემდეგ.. მაგალითად, სტუდენტი „ა“ ეუბნება სტუდენტ „ბ“-ს

–ჩემი მანქანა არ იქოქება

–კარგი იქნებოდა, თუ შეამოწმებინებ....

მოცემული მაგალითის მიხედვით, მოსწავლეებს მიეცით სიტუაციები, რათა განიხილონ და ურჩიონ ერთმანთს, რა სიტუაციებში როგორ მოიქცეოდნენ . „ მოწყენილი ვარ“ , „ჩემი ქმარი (ცოლი) ხვრინავს“, „ჩემი უფროსი მიყვირის“, მეზობელმა წყალი ჩამოუშვა“, „ამ დღეებში ენერგიის დეფიციტს განვიცდი“, „წონაში ვიმატებ“, „ჩემი კარის მეზობლები მუდმივად ჩხუბობენ“ და ასე შემდეგ .

- სთხოვეთ, ის დრო და სიტუაცია გაიხსენონ და დაწერონ, როდესაც მათი რჩევა ვინმეს გამოადგა.
- წყვილებმა ისაუბრონ ამ სიტუაციასთან დაკავშირებით, იმსჯელონ, რამდენად მისაღები იყო მათ მიერ გაცემული რეკომენდაცია კონკ-რეტული ადამიანისათვის და შესაძლებლი იყო თუ არა სხვა გზის მითითება.

საგანგებო სიტუაციები

აქტივობა 1 წყვილებს მიეცით სხვადასხვა საგანგებო სიტუაციები: **ადამიანი ზღვაში იხრჩობა, თუ სახლი იწვის ან ავტოკატასტროფის შედეგად დაშავებული აღარ სუნთქავს, თუ ვინმე დაკბინა უხსენებელმა ანდა ბავშვმა ღილი ან ქინძისთავი გადაყლაპა.** განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად რჩევები, რეკომენდაციები, რომელსაც კონკრეტულ სიტუაციებში მიიჩნევთ სასარგებლოდ. ამ სიტუაციაში ვინ როგორ მოიქცეოდა. ასაუბრეთ წყვილებში.

აქტივობა 2 პატარა ჯგუფები მუშაობენ პრობლემაზე, როგორ დაეხმარონ ადამიანებს, კონკრეტულ სიტუაციებში, გადაჭრან ცხოვრებისეული პრობლემები, აყალიბებენ საუკეთესო რჩევას.

ჯგუფებს ეძლევა დავალება:
პირველი ჯგუფი –ხარ ცოლი და ქმართან პრობლემა გაქვს.
მეორე ჯგუფი – ქმარს ცოლთან დაძაბული ურთიერთობააქვს.
მესამე ჯგუფი – მშობლები მოზარდ შვილებთან საერთოს ვერ პოულობენ.

ჯგუფები საუბრობენ, შეიძლება გაითამაშონ სცენაც, თუ როგორ ხედავენ მოცემულ პრობლემას და გადაჭრის რა ხერხს მიმართავენ.

- ამ დავალების შესრულებისას შეახსენეთ მოსწავლეებს ის ფაქტორები, რომლებიც ჯგუფებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ რჩევის მიცემისას. ეს არის: ამ დავალებას შეიძლება წერითი სახეც მივცეთ.
- ჯგუფი, დაწერს თავისი პრობლემის შესახებ, გადააწვდის მეორე ჯგუფს ე. წ. „მრჩეველს“, რომელიც წერს პრობლემის გადაჭრის მისეულ ვარიანტს/რჩევას. შემდეგ აწვდის სხვა ჯგუფს და ა.შ. კლასში არსებული ყველა ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას. ეს გრძელდება მანამ, სანამ წერილი ადრესატს არ დაუბრუნდება.
- ჯგუფი იღებს ყველა რეკომენდაციებს, გამოხატავსთავის აზრს თითოეულ მათგანზე, განიხილავს რამდენად მისაღებია თითოეული რჩევა და ირჩევს ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს, რომელიც მოცემულ სიტუაციაში საუკეთესოა პრობლემის გადასაჭრელად.

შენიშვნა: შეიძლება აქტივობებს მიეცეს როლური თამაშების სახე.

თამაში - „მიშველეთ“

აქტივობა 1 ეს თამაში შეგიძლიათ,გამოიყენოთ გაკვეთილის გახურების ფაზაში თემასთან-რჩევა „შენ ადგილას, რომ ვიყო“. ამ შემთხვევაში მასწავ-ლებელია წამყვანი, იგი პრობლემებს ასახელებს და ბავშვებისგან რჩევებს იღებს.

1) სათვალეს ვერ ვპოულობ
2) ჩემი დისშვილი ძალიან მორცხვია
3) ჩემი ბაღი სარეველა ბალახებითაა სავსე
4) სლოკინს ვერ ვიკავებ
5) ქმართან სულ ვკამათობ
6) დედა სულ მსაყვედურობს
7) ჩემს მეგობრებს იშვიათად ვნახულობ
8) მობილურზეანგარიში ხშირად მითავდება

აქტივობა 2 დაწერეთ დიალოგი ექიმსა და იმ პაციენტს შორის, რომელიც საავადმყოფოს ტოვებს. ექიმი პაციენტს რჩევებს აძლევს, როგორ განაგრძოს მკურნალობა გარკვეული პერიოდის შემდეგ

გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები: **საწოლი, ტელევიზორი, საჭმელი, სამუშაო, წამალი, ალკოჰოლი, ვარჯიში.**

აქტივობა 3 წარსულის შეცდომები

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს წინადადებებს, რომლებიც წარსული-დან ცუდ მოვლენებს ასახავს. მოსწალეებმა მასწავლებელს ის ხუთი მიზეზი უნდა დაუსახელონ, რომლებმაც ეს შეცდომა გამოიწვია და რა შეიძლებოდა გაეკეთებინათ, რომ ის თავიდან აეცილებინათ.

შესათავაზებელი სიტუაციები

1)დავითს 5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.
2)შარშანდელი ზაფხულის არდადაგები იყო სრული კატასტროფა.
3)სამწუხაროდ, ქორწინებიდან ერთ კვირაში ისინი ერთმანეთს დაშორდნენ .
4)ნიკი სამსახურიდან დაითხოვეს.
5) სამსახურიდან წამოსვლა მას ნერვიული გამოფიტვის გამო მოუხდა.

პროექტი:

ჯგუფებს მიეცით დავალება მოიძიონ გასაღები და განიხილონ ისეთი არასასურველი მოვლენები, როგორიცაა **(„ტიტანიკი“, „მეორე მსოფლიო ომი“, „11 სექტემბრის ტერაქტი, ნიუ-იორკში“, „წყალდიდობა იაპონიაში“, „საქართველოსა და რუსეთს შორის გამართული 2008 წლის ომი“)** და ისაუბრონ, როგორ შეიძლებოდა მათი თავიდან აცილება

თემა - საყვედური და კრიტიკა

მაღაზია

- კლასი მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით ჯგუფებად დაყოფით.
- თითოეულ ჯგუფს მასწავლებელი უსახელებს **მაღაზიის ტიპს, ან ცნობილ ფეშენებელურ სასტუმროს, სამედიცინო პუნქტს, საცხობს, ფოტო სტუდიას, დივიდის მაღაზიას**
- 30 წამში მოსწავლეებმა მითითებული დაწესებულების მიმართ საყვედური და კრიტიკა უნდა გამოთქვან.
- თავიდან რომ ავირიდოთ არაკორექტული შენიშვნები, თამაშის დასაწყისში უნდა გავაფრთხილოთ მოსწავლეები, რომ გაკრიტიკებისას მაქსიმალურად თავაზიანები იყვნენ / გმოიყენონ ისეთი

გამოთქმები ,როგორიცაა: „მაპატიეთ მაგრამ“, „სამწუხაროდ“, „ვწუხვარ“, „მაგრამ თქვენ“და ასე შემდეგ.

შემდეგი თამაში

ჯგუფებმა უნდა აირჩიონ ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიებიდან (სასტურო, მაღაზია , სილამაზის სალონი და ა. შ.) და გაითამაშონ დიალოგი.მაგალითად, დიალოგისთვის მაღაზიაში დაგვჭირდება

სტუდენტი 1 - უკმაყოფილო მომხარებელი , რომელიც მუდამ კამათობს
სტუდემტი 2 - დაბნეულ-გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი
სტუდენტი 3 - მენეჯერი, რომელიც გამოიძახეს პრობლემის გადასაჭრელად

ალტერნატიული სავარაუდო ნიმუში:

უკმაყოფილო მომხმარებელი:
– მე გთხოვეთ ზომა 12, მაგრამ თქვენ მომიტანეთ ზომა 14!
– საშინლად ვწუხვარ, ქალბატონო, ახლავე მოგართმევთ თქვენს ზომას.
ჯგუფები მათ მიერ შექმნილ დიალოგებს განასახიერებენ.

წარმოიდგინეთ,რომ თქვენს მეწყვილესთან ერთად იყოფთ ერთ ოთახს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში. გაითამაშეთ დიალოგი, ურჩიეთ ერთმანეთს კორექტულად, როგორ შეიძლება თითოეულმა თქვენგანმა შეცვალოს საქციელი.მაგ:

სტუდენტი 1 ხომ გითხარი, არ დატოვო ველოსიპედი ჰოლში?ხედავ,როგორ დააბინძურე იატაკი?

სტუდენტი 2 მოდუნდი რა! მოგვიანებით გავწმენდ.
შესათავაზებელი სიტუაციები

სტუდენტი 1 შენ ხარ ძალიან სუფთა,გიყვარს მშვიდი,წყნარი გარემო,ხარ ბეჯითი მოსწავლე,გარეთ უსაქმოდ გასვლაც არ გიტაცებს,დროულად იხდი გადასახადებს და მუდმივად თვითონ ამზადებ საჭმლს.

სტუდენტი 2 იგი აბსოლუტურად კონტრასტულია.არის მოუწესრიგებელი, უსმენს ხმამაღალ მუსიკას, თავს არ იკლავს სწავლაზე,ხშირად მოჰყავს სტუმრები და აწყობს წვეულებებს,არ ეკარება სახლის საქმეს.

შეაფასეთ, რა სიტუაცია შეიძლება გათამაშდეს მათ შორის და წარმოადგინეთ ის.

თამაში-სად ვარ?

ბავშვები ისმენენ თქვენ მიერ წარმოთქმულ კრიტიკას და ცდილობენ გამოიცნონ სიტუაცია, ,რომელშიც შეიძლება ის მომხდარიყო.

1) რა თქმა უნდა,იცდი ნახევარ საათს და შემდეგ სამი ოფიციანტი მოდის ერთდროულად.
2) ეს მწვადი უმია და სალათიც მარილიანია.
3) თქვენ მითხარით, რომ პრობლემა არ იყო სერიოზული და მხოლოდ რამოდენიმე საგანს დასჭირდებოდა შეცვლა,მაგრამ ეხლა სხვა დეტალებიც დამიმატეთ- მუხრუჭის ზეთი,ახალი კარბურატორი...
4) ჩვენ აქ ბაბუა მოვიყვანეთ წნევის ტკივილებით და აღმოჩნდა ბრმანაწლავი.
5) როგორც კი დააჭერ ღილაკს, მაშინვე იცვლება გამოსახულება.
6) შეხედეთ! ვალენტინის დღესასწაული მხოლოდ გუშინ იყო,ამ ყოჩივარდებმა კი უკვე ყურები ჩამოყარა და ა.შ.

ამ დავალების შემდეგ მოსწავლეები წყვილებში წერენ მსგავს საჩივრებს და აანალიზებენ ერთმანეთთან.

სარჩევი

1. წინასიტყვაობა გვ 3
2. სასაუბრო აქტივობები გვ. 4
   საცხოვრებელი ადგილი
3. საუბრები ცხოველებზე გვ. 8
4. დანაშაული და სასჯელი გვ. 14
5. კულტურა გვ. 20
6. განათლება გვ. 25
7. გარემო გვ. 33
8. მოდა გვ. 38
9. საკვები გვ. 42
10. გეოგრაფია გვ. 54
11. ჯანმრთელობა გვ. 57
12. სახალისო/წერითი/ზეპირი და სმენითი აქტივობები გვ. 60
13. პუნქტუაცია გვ. 65
14. კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება გვ. 67
15. კითხვა ჩემს ცხოვრებაში გვ. 68
16. აქტივობა წერა წრეში გვ. 72
17. როლური თამაშები გვ. 74
18. აქტივობა „ამბავი სიტყვებით" გვ. 76
19. თამში „იყო და არა იყო რა" გვ. 77
20. ადამიანის აღწერა გვ. 79
21. თამაში პანტომიმით გვ. 81
22. თამაში – ბრძოლა გადარჩენისათვის გვ. 83
23. თამაში – ავიაკატასტროფა გვ. 87
24. თამაში – დიდი გაქცევა გვ. 89
25. თემა – ტელევიზია გვ. 90
26. სატელევიზიო რეკლამა გვ. 94
27. თემა – დრო გვ. 95
28. თემა – ტრანსპორტი გვ. 96
29. თემა – სამუშაო გვ. 100
30. თემა – ფუნქციები გვ. 102
31. თემა – რჩევები გვ. 104
32. თემა – საგანგებო სიტუაციები გვ. 104
33. თემა – საყვედური და კრიტიკა გვ. 107
ბოლოსიტყვაობა გვ. 110

საყვარელო კოლეგებო!

დარწმუნებული ვართ ეს სახელმძღვანელო და მასში მოთავსებული თამაში-აქტივობები დიდ სამასხურს გაგიწევთ, რათა თქვენი გაკვეთილები უფრო წარმატებული, ხალისიანი და ნაყოფიერი გახდეს.

გისურვებთ წარმატებებს და მომავალ შეხვედრამდე!